645
1980

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN 0321-1509

# საქართველოს ქალი

მარტი
№ 3 1980 წ



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მაღალი ჯილდო



საქართველოს სს რესპუბლიკისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის გადაცემა.

ს. კილაძის ფოტო

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!



ნანა მესხიძე. — „დედობა“

„საქართველოს ქალი“
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

# პირველი ბიოგრაფია

ფილიპე მახარაძე,
ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის
თბილისის ფილიალის დირექტორი.

22 აპრილი მთელი ჩვენი ხალხისათვის საზეიმო დღეა.

ეს დღე დაბადების დღეა ადამიანისა, რომელმაც ყველაზე მეტი გააკეთა უბრალო ადამიანებისათვის.

ეს დღე დაბადების დღეა ადამიანისა, რომლის ცხოვრებამ და საქმემ პლანეტას სახე უცვალა.

ამ დღეს ლენინი დაიბადა. და ამით ყველაფერია ნათქვამი.

ახლოვდება ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 110-ე წლისთავი.

დიდებულად ჟღერს „ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების ბრწყინვალე სტრიქონები: „მეცნიერული აზროვნების ბუმბერაზმა და ჭეშმარიტად სახალხო ბელადმა, მგზნებარე რევოლუციონერმა, კომუნისტური პარტიისა და მსოფლიოს პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელმა, ლენინმა მთელი თავისი შესანიშნავი, გმირული სიცოცხლე უძღვნა დიდსა და კეთილშობილურ საქმეს, — პროლეტარიატისა და მთელი ჩაგრული მასების სოციალური განთავისუფლებისათვის, მშრომელი ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლას".

ჩვენ ყოველთვის გვაინტერესებს ყველაფერი, რაც დაკავშირებულია ამ უკვდავ ადამიანთან.

ვლადიმერ ილიას ძე ლენინს თავის მოღვაწეობის მანძილზე მოუხდა ოცამდე სხვადასხვა სახის ანკეტის შევსება. ერთი საინტერესო დეტალი. ვათვალიერებდით ძველი ჟურნალ-გაზეთების კომპლექტებს, რომლებშიც საინტერესო ამბავს წავაწყდით.

აი ისიც: პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს: „ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერებმა, მე-8 საცხენოსნო საარტილერიო ბატარეის კომიტეტის წევრებმა, ჯარისკაცთა საერთო კრებაზე დავადგინეთ გამოგიგზავნოთ თქვენ შემდეგი შინაარსის წერილი:

იმის გამო, რომ ბატარეის ჯარისკაცთა შორის ხშირია უთანხმოება ლენინის შესახებ, გთხოვთ უარს ნუ გვეტყვით შესაძლებლობის ფარგლებში მოკლე პასუხის გაცემაზე. როგორია მისი წარმოშობა, [illegible], თუ გადაასახლეს, რისთვის?

როგორ დაბრუნდა იგი რუსეთში და რას აკეთებს ამჟამად, ე. ი. ჩვენთვის სასარგებლოს თუ საზიანოს?

ერთი სიტყვით გთხოვთ თქვენი წერილით დაგვარწმუნოთ ისე, რომ ამის შემდეგ აღარავითარი დავა არა გვქონდეს, ტყუილუბრალოდ არ დავკარგოთ დრო და შეგვეძლოს დავუმტკიცოთ სხვა ამხანაგებსაც".

ქვემოთ არის ხელმოწერა: „მე-8 საცხენოსნო-საარტილერიო ბატარეა, (ოთხი გვარი). 1917 წ. 24 აპრილი. მოქმედი არმია".

წერილს აქვს პეტროგრადის საბჭოს შტამპი და წერილის მიღების თარიღი — 1917 წ. 4 მაისი.

ახლა ძნელია წარმოიდგინო დრო, როცა ადამიანებმა არ იცოდნენ, ვინ იყო ლენინი.

მაგრამ დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე ლენინი, რომელიც მრავალი წლის მანძილზე იმყოფებოდა გადასახლებაში, ემიგრაციაში, ათობით ფსევდონიმით მალავდა თავის ნამდვილ სახელს, ბევრისათვის უცნობი იყო, მით უმეტეს არ იცნობდა ჯარისკაცთა მასა— გუშინდელი გლეხობა, რომელიც რუსეთის ყველა კუთხე-კუნჭულიდან გარეკეს ფრონტზე.

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიული რევოლუციის გამარჯვების ცნობამ ვ. ი. ლენინს შვეიცარიაში მოუსწრო. რუსეთის ამბები რომ გაიგო, ვლადიმერ ილიას ძე სამშობლოსაკენ მოისწრაფოდა. იგი ახლა ერთადერთი აზრით სუნთქავდა: — ახლავე, დაუყოვნებლივ შინისაკენ!

მაგრამ, როგორ? ომი იყო. ცხადია, დროებითი მთავრობა ყველა ღონეს იხმარდა, დგებოდა სპეციალური „შავი სიები", რომლებშიც შეტანილი იყო ყველა ინტერნაციონალისტის სახელი.

ლეგალურად, საფრანგეთსა და ინგლისზე გავლით რუსეთში ჩასვლაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა. ლენინი მთელი დაძაბვით ეძებდა გამოსავალს: განიხილავდნენ და უარყოფდნენ სამშობლოში დაბრუნების სხვადასხვა გეგმებს.

ერთადერთი რეალური გეგმა იყო დაბრუნება გერმანიაზე გავლით, გერმანიაზე, რომელიც რუსეთს ეომებოდა. „ცხადია, გერმანიის მთავრობა საშვს რომ იძლეოდა, — წერდა შემდგომ ნადეჟდა კონსტანტინეს ასული კრუპსკაია, — იმ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა, რომ რევოლუცია უდიდესი უბედურებაა ქვეყნისათვის, და ფიქრობდა, რომ სამშობლოსაკენ გატარებული ემიგრანტი-ინტერნაციონალისტები ხელს შეუწყობდნენ რევოლუციის გაჩაღებას რუსეთში".

ვ. ი. ლენინის წამოსვლა გერმანიაზე გავლით თითით საჩვენებელი საბაბი გახდა ბოლშევიკების ბელადის წინააღმდეგ საბრძოლველად. ბურჟუაზიულმა პრესამ ლენინისა და მასთან ერთად დაბრუნებული მისი მეგობრების წინააღმდეგ ღვარძლიანი ცილისმწამებლური კამპანია გააჩაღა.

აი სწორედ ასეთ ვითარებაში გაგზავნეს ეს წერილი პეტროგრადის საბჭოში ცხენოსანი არტილერიის ბატარიის ჯარისკაცებმა, რათა გაეგოთ სიმართლე.

წერილი პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ გადაუგზავნა ვლადიმერ ილიას ძეს. აღნიშნული წერილი პირველად დაიბეჭდა გაზეთ „პრავდაში 1927 წლის 16 აპრილს.

ბელადმა უპასუხა წერილზე.

აი ეს წერილიც:

„ამხანაგებო! -- წერდა ვლადიმერ ილიას ძე, — მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების პეტროგრადის საბჭომ გამომიგზავნა თქვენი წერილი 1917 წ. 24 აპრილისა.

თქვენ ამ წერილში აყენებთ კითხვას: „რა წარმოშობისა ვარ, თუ გადამასახლეს, რისთვის? როგორ დავბრუნდი რუსეთში და რა საქმიანობას ვეწევი ახლა, ე. ი. თქვენთვის სასარგებლოს თუ საზიანოს.

გიპასუხებთ ყველა ამ კითხვაზე, გარდა უკანასკნელისა, რადგან მხოლოდ თვითონ შეგიძლიათ განსაჯოთ, სასარგებლოა თუ საზიანო თქვენთვის ჩემი საქმიანობა.

მე ვარ ვლადიმერ ილიას ძე ულიანოვი.

დავიბადე სიმბირსკში 1870 წლის 9 აპრილს. 1887 წ. გაზაფხულზე ჩემი უფროსი ძმა, ალექსანდრე, სიკვდილით დასაჯა ალექსანდრე III მისი სიცოცხლის ხელყოფისათვის (1887 წ. 1 მარტს), 1887 წ. დეკემბერში პირველად დამაპატიმრეს და გამრიცხეს ყაზანის უნივერსიტეტიდან სტუდენტთა მღელვარებისათვის; შემდეგ ყაზანიდან გამასახლეს.

1895 წლის დეკემბერში მეორედ დამაპატიმრეს პიტერში მუშათა შორის სოციალ-დემოკრატიული პროპაგანდისათვის“...

აქ ხელნაწერი წყდება.

ამ დოკუმენტის ასლს დიდი ინტერესით ეცნობიან ჩვენი მუზეუმის მნახველები.

მოვლენათა დუღილმა ხელი შეუშალა ვლადიმერ ილიას ძეს ავტობიოგრაფიის დამთავრებაში.

მაგრამ წერილი უპასუხოდ არ დარჩენილა. იგი დაწერა ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა, და დაიბეჭდა გაზეთ „სოლდატსკაია პრავდაში“ 1917 წლის 19 მაისს, ე. ი. რამდენიმე დღის შემდეგ, რაც ლენინმა წერილი მიიღო.

ნადეჟდა კონსტანტინეს ასული კრუპსკაიას სტატიის სათაური იყო „ფურცელი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ისტორიისა“.

და სწორედ ეს იყო ვ. ი. ლენინის პირველი ბიოგრაფია.

გაზეთის ძუნწ სტრიქონებში გადმოცემული იყო ბოლშევიკური პარტიის ისტორია მისი დაარსებიდან. უფრო მოკლე იყო თხრობა პარტიისათვის, რევოლუციისათვის ბრძოლაში ლენინის როლზე.

იწერებოდა ისტორიის ახალი დიდებული ფურცლები.

ვლადიმერ ილიას ძემ, რადგან თვითონ არა ჰქონდა დრო, გაზეთის მეშვეობით სტატიით მიემართა ჯარისკაცთა ფართო მასისათვის, გულდასმითი რედაქცია გაუკეთა კრუპსკაიას სტატიას, იქ, სადაც ლაპარაკი იყო იძულებითს მგზავრობაზე გერმანიის გავლით, ლენინმა აბზაცს დაუმატა: „სამშაბათს, 9 მაისს (ე. ი. რუსეთში მისი ჩამოსვლიდან ერთი თვის შემდეგ — ფ. მ.) შვეიცარიიდან გერმანიაზე გავლით ჩამოვიდა 200-ზე მეტი ემიგრანტი, მათ შორის მენშევიკების ბელადი მარტოვი, სოციალ-რევოლუციონერების ბელადი ნატანსონი და სხვ. ამ ჩამოსვლამ კიდევ და კიდევ დაამტკიცა, რომ შვეიცარიიდან არ არის სხვა საიმედო გზა, გარდა გერმანიაზე გავლისა“.

ჩამოსულთა შორის იყო აგრეთვე გამოჩენილი რევოლუციონერი მიხა ცხაკაია.

ვლადიმერ ილიას ძე დაბრუნდა პეტროგრადში 1917 წლის 9 აპრილს. მეორე დღესვე მიუხედავად შფოთიანი დროისა მან ნადეჟდა კონსტანტინეს ასულთან ერთად ინახულა თავისი დედის მარია ალექსანდრეს ასულის საფლავი ვოლკოვოს სასაფლაოზე.

სტატიას რომ კითხულობ, უნებლიედ გაოცებს ის უბრალოება და თავმდაბლობა, რაც ლენინის დამახასიათებელი ნიშანთვისებები იყო.

არავითარი პათოსი.

არავითარი მაღალფარდოვანი, მჭექარე სიტყვები.

არავითარი მისწრაფება მოვლენების ცენტრში თავისი თავის წამოწევისა, პარტიისაგან გამოცალკევებისა, იმ ამხანაგებისაგან გამოცალკევებისა, რომლებსაც დღეს ვიცნობთ, როგორც პარტიის რიგითს მებრძოლებს.

ამ მხრივ დამახასიათებელია სტატიის დასაწყისი. იგი იწყება სიტყვებით „ძველ ამხანაგებს შორის, რომლებიც ლენინს შეხვდნენ მისი ჩამოსვლის დღეს, იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ვეტერანი, უსინათლო მუშა, რომლის სახელსაც კარგად იცნობენ პეტერბურგელი პროლეტარები — ვასილ ანდრიას ძე შელგუნოვი. შელგუნოვის მხარდამხარ დაიწყო თავისი პრაქტიკული სოციალ-დემოკრატიული მუშაობა ლენინმა პეტერბურგში. ეს იყო 1894 წელს“.

მრავალმა წელმა განვლო იმ შორეული მღელვარე, დაუვიწყარი დღეებიდან, როცა გამოვიდა „სოლდატსკაია პრავდის“ ნომერი ნადეჟდა კონსტანტინეს ასულ კრუპსკაიას სტატიით.

რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ბელადის რამდენიმე ბიოგრაფია დაიბეჭდა. 1927 წლიდან მისი ბიოგრაფია იბეჭდება საბჭოთა ენციკლოპედიაში. პირველი ბიოგრაფია დაწერა ლენინის დამ ანა ილიას ასულმა ულიანოვა-ელიზაროვამ, რომელიც დაიბეჭდა გრანტის ენციკლოპედიურ ლექსიკონში (მეშვიდე გამოცემა). მოგვიანებით ეს ნაშრომი ცალკე წიგნად გამოვიდა.

ახლა დედამიწაზე არ არის ისეთი ადამიანი, რომელმაც არ იცოდეს, ვინ არის ლენინი.

ეს სახელი უსაზღვროდ ძვირფასია ჩვენი პლანეტის ყველა კუთხის მშრომელთათვის. იგი ახალი სამყაროს სიმბოლოდ იქცა.

სწორედ ამიტომ იყო და არის, რომ მსოფლიოს ყველა კუთხეში ათეულ და ასეულ მილიონობით ადამიანი სწავლობდა და სწავლობს ბელადის უკვდავ ბიოგრაფიას, მის ცხოვრებასთან დაკავშირებულ ყოველ დეტალს.

ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული ყოველი ფაქტის შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანების იდეური აღზრდისათვის. ვსწავლობთ რა ბელადის ბიოგრაფიას, ვეცნობით მის პირად საქმეს, ჩვენ შევიმეცნებთ ლენინური პარტიის გმირულ ისტორიას, თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის დამხობისათვის, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისათვის, სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვებისათვის მისი ბრძოლის სახელოვან ისტორიას.

არიან ადამიანები, რომლებიც მაქსიმ გორკის თქმით, როგორც გიგანტური ბერკეტები, ისე აბრუნებენ ისტორიას.

მან ეს დიდი ლენინის შესახებ თქვა.

ყველა ჩვენს საქმეში ცოცხლობს ლენინის უკვდავი იდეები, რომლებიც განსაზღვრავს ისტორიის სვლას.

არიან გამოჩენილი პიროვნებები, რომლებმაც თავიანთი მოღვაწეობით მნიშვნელოვანი სამსახური გაუწიეს კაცობრიობას, ასწლეულების და ათასწლეულების მანძილზე და სამუდამოდაც კი შეიტანეს თავიანთი სახელები ისტორიაში.

ასეთებს მიეკუთვნება ლენინი.

ჩვენი ბელადი და ჩვენი მასწავლებელი! — ასე ამბობენ მასზე მთელი მსოფლიოს მშრომელები.

ქვეყნად ბევრი არ ყოფილა ისეთი ადამიანი, რომლის ხსოვნა ხალხს ისე შემოენახოს, როგორც ლენინისა. იგი განუმეორებელი პიროვნებაა.

ამ ცოტა ხნის წინათ თბილისში ავსტრალიის სოციალისტური პარტიის დელეგაცია იმყოფებოდა, რომელსაც ამ ქვეყნის სოცალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, სიდნეის უნივერსიტეტის სოციოლოგიის დოქტორი ქალბატონი ჰანა მიდლტონი მეთაურობდა. ავსტრალიელებმა დაათვალიერეს ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალი.

წასვლისას ხელმძღვანელმა განაცხადა: ავსტრალიაში არ არის ლენინის ძეგლები და მუზეუმები, მაგრამ მოვა დრო და იქნებაო.

დღეს ლენინისკენ არის მიპყრობილი მილიონობით მშრომელის მზერა დედამიწის ყველა კუთხეში. და ყველას იზიდავს და აოცებს ლენინის სიყვარული და ზრუნვა ადამიანებისათვის, ეს კი ყველაზე მთავარია. იგი დღესაც მზესავით ამაყად დგას!

ჩინებულად ამბობდა ცნობილი ჩინელი მოაზროვნე, ჩინეთში კომუნისტური მოძრაობის ერთ-ერთი ორგანიზატორი ლი დაჩჟაო 1924 წლის 30 მარტს პეკინში ვ. ი. ლენინის გარდაცვალების გამო გამართულ მიტინგზე: „ლენინის მნიშვნელობა კაცობრიობისათვის შეიძლება შევადაროთ მხოლოდ მზის და მდინარეების მნიშვნელობას... ლენინის სიკვდილი უდიდესი ტრაგედიაა“.

ლენინისაგან სწავლობდნენ ჩვენი მამები.

ლენინისაგან ვსწავლობთ ჩვენ.

16429

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენინისაგან ისწავლიან ჩვენი შვილები და მომავალი თაობები.

ჩვენ ვცხოვრობთ ლენინურ საუკუნეში — ამ საუკუნის მიჯნები განისაზღვრება არა კალენდრის თარიღებით, არამედ ისტორიის ეტაპებით.

ჩვენ ვცხოვრობთ მისი იდეების გამარჯვების, მისი დიადი ჩანაფიქრების განხორციელების საუკუნეში. მან მშრომელთა ოცნება სინამდვილედ აქცია.

დღეს ლენინს დასტრიალებს საბჭოთა ადამიანების ფიქრები, ადამიანებისა, რომლებიც მიჰყვებიან მის მიერ ნაჩვენებ გზას ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით.

ეს წელი ლენინური წელია. ვამრავლოთ ის დიდი წარმატებები, რასაც ჩვენმა ხალხმა მიაღწია უკანასკნელ წლებში. თუ გვინდა წინ ვიაროთ, საჭიროა დაუნდობლად ვიბრძოლოთ ყოყოჩობის წინააღმდეგ. თუ გვინდა წინ ვიაროთ, საჭიროა დაუნდობლად ვიბრძოლოთ თვითდამშვიდების წინააღმდეგ; მთელი ძალებით განვამტკიცოთ და გავაძლიეროთ პარტიული, სახელმწიფო და შრომითი დისციპლინა; თავგამოდებით ვიბრძოლოთ სკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებისათვის.

როდესაც სწავლობ ლენინის ცხოვრების ამსახველ მასალებს, ყოველთვის ერთი და იგივე გრძნობა გეუფლება: სიხარული, სიამაყე და მღელვარება. გეუფლება სიხარული და სიამაყე იმიტომ, რომ იცი, ლენინი ჩვენთან არის, რომ შენ ცხოვრობ სახელმწიფოში, რომელიც შექმნა ლენინმა!

მღელვარება იმიტომ, რომ იცი:

— ცხოვრებაში, საქმიანობაში — დიდსა და პატარაში, გევალება იყო ისეთივე, როგორიც იყო ლენინი.

ვარ თუ არა ასეთი? — ისეთივე თავდადებული, პატიოსანი, გულწრფელი, მართალი?

ვარ თუ არა ისეთივე პრინციპული, უანგარო, უბრალო, ადამიანური?

ისევე მიყვარს თუ არა ჩემი ხალხი, ჩემი ქვეყანა, როგორც უყვარდა იგი ლენინს!?

ვინ მოთვლის რამდენი თეთრად გათენებული ღამეები გაუტარებია მას მშრომელ ხალხზე ფიქრში!

შემიძლია თუ არა, როგორც მას შეეძლო, ვიყო ამხანაგისათვის რბილი, ალერსიანი, მტრისათვის — ფოლადზე მაგარი, შეუდრეკელი?

ჰკითხეთ ეს საკუთარ თავს ყოველთვის და ყველგან!

ულენინოდ და ულენინიზმოდ ჩვენი ცხოვრება და საქმიანობა ისევე წარმოუდგენელია, როგორც, ვთქვათ, მდინარე, სათავის გარეშე. ეს ისეთივე ჭეშმარიტებაა, როგორც ის, რომ ხვალ აუცილებლად გათენდება!



# დიდი ქიმია

რეპორტაჟი

რუსთავის ქიმიურ ქარხანაში დამთავრდა მინერალური სასუქების საწარმოო სამი ახალი სიმძლავრის მშენებლობა; მიღებულია ამონიუმის გვარჯილა, სუსტი აზოტმჟავა. ამოქმედდა აგრეთვე მესამე სახის პროდუქციის — ამიაკის წარმოების ტექნოლოგიური ციკლი.

და აი, მწყობრშია წელიწადში 372 ათასი ტონა სუსტი აზოტმჟავასა და 200 ათასი ტონა ამონიუმის გვარჯილის საწარმოო საამქროების კომპლექსები, 200 ათასი ტონა სიმძლავრის ამიაკის საწარმოო საამქროების კომპლექსის ტექნოლოგიური ციკლი.

* * *

1947 წელი. ომით დანგრეულ ქვეყანას სჭირდება აშენება, განახლება, აღდგენა. სწორედ ამ დროს იწყება ქალაქ რუსთავში ქიმიური კომბინატის მშენებლობა, რომელმაც 1956 წლის 27 თებერვალს გამოუშვა პირველი პროდუქცია. ეს ითვლება რუსთავის ქარხნის დაბადების დღედ. მას შემდეგ სამ ათეულ წელზე მეტი გავიდა. ქარხანა განუწყვეტლივ იზრდება. ამის მაგალითია, თუ გნებავთ, ისიც, რომ შარშან საექსპლოატაციოდ გადასცეს სუსტი აზოტმჟავას, ამონიუმის გვარჯილის საწარმოო საამქროების კომპლექსები, ამიაკის წარმოების ტექნოლოგიური ციკლი. მათი ამოქმედებით ქარხანა კიდევ უფრო გაძლიერდა. მომავალ წლებში აპირებენ აამოქმედონ ამიაკის მწარმოებელი მეორე ხაზი, კაპროლაქტამის ახალი წარმოება.

უზარმაზარ ტერიტორიაზე განლაგებულია გიგანტური ღუმელები და დანადგარები ერთმანეთთან დაკავშირებული მილებით. კომბინატის მიერ გამოშვებული პროდუქცია მრავალი სახისაა. მათ შორის აღსანიშნავია ამიაკი, კაპროლაქტამი, მინერალური სასუქები და სხვ.

წარმოების მთავარი ძარღვია ამიაკის სინთეზის საამქრო. იგი უმაღლესი ხარისხის 99,9 პროცენტიან ამიაკს უშვებს. გულმოდგინე შრომით გამოირჩევა უფროსი მეაპარატე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ლეილა გუდაძე, ლეილა 1959 წელს, საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე მოვიდა ქარხანაში.

კაპროლაქტამის საამქროს მართვის ცენტრალურ პუნქტში მეაპარატე ციცინო დევდარაძე თავისუფლად გრძნობს თავს ხელსაწყოებთან, რომელთა მეშვეობით ნედლი კაპროლაქტამის . წარმოებას თვალყურს ადევნებს. ციცინო 1972 წელს ქიმიური ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ მოვიდა ქარხანაში. თუმცა მარტო თეორიული ცოდნა საკმარისი არ არის პროფესიის დაუფლებისათვის. ამიტომ იგი თავის მასწავლებლად თვლის ძველ მუშას, ნაზი გუგუას, რომელმაც დიდი გულისხმიერებით შეასწავლა საქმე და თვენახევარში ციცინომ შეძლო დამოუკიდებელი მუშაობა.

ახლადგახსნილ ამონიუმის გვარჯილა — 72-ის საამქროში ქეთინო დავითაშვილი, ლეილა ლომთათიძე და ნათელა ოგიაშვილი ცვლის უფროსები არიან. ადრე სამივენი სხვადასხვა საამქროებში იყვნენ, მაგრამ როგორც კი დასჭირდა ქარხანას ახალ ობიექტზე მათი ყოფნა, უყოყმანოდ გადმოვიდნენ და შეუდგნენ მუშაობას. სოფლის მეურნეობისათვის მინერალურ სასუქებს დიდი მნიშვნელობა აქვს და მათაც თავიანთი წვლილი შეაქვთ მოსავლიანობის გადიდებაში.

ქარხნის ცენტრალური ლაბორატორიის გამგეა ციცინო სალარეიშვილი. იგი ცხრა გამოგონების ავტორია. ლაბორატორიის ძირითადი მიზანია გამოიკვლიოს საამქროებში მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესების ვიწრო ადგილები და დასახოს გზები მათ აღმოსაფხვრელად. აქვე ტარდება კვლევითი სამუშაოები ისეთ საკითხებზე, როგორიც არის: გამობოლქვილი აირების მავნე მინარევებისაგან გაწმენდა, ახალი კატალიზატორების სხვადასხვა პროცესების გამოცდა, ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესება. ინჟინერი იამზე ხაჩიძე წარმატებით მუშაობს „არაორგანული ნივთიერების სექტორის" ჯგუფში. ეს ჯგუფი სწავლობს იმ საკითხებს, რაც კატალიზატორებთან არის დაკავშირებული. კოლექტივის უდაო მიღწევაა, რომ კვლევითი სამუშაოები ჩატარდა „ელექტროლიტური მანგანუმის ორჯანგის" საამქროში და მიღებულ პროდუქტს ხარისხის ნიშანი მიენიჭა. ცენტრალურ ლაბორატორიაში გულმოდგინედ შრომობენ

ეროვნული ბიბლიოთეკა



ძველი ლაბორანტები თინა პეტრიაშვილი, თამარ ფაჩულია; ახალგაზრდები თ. ქორიძე, ვ. იგრიაშვილი, მ. ტუეშელაშვილი და სხვები. ქარხნის მიერ გამოშვებული პროდუქცია იგზავნება კუბაში, ჰოლანდიაში, იუგოსლავიაში, უნგრეთში და სხვა ქვეყნებში.

ქარხნის პარტიული კომიტეტის მეორე მდივანი გულიკო მაჩხაშვილი აღნიშნავს, რომ საერთოდ კომბინატი რესპუბლიკაში ერთ-ერთ საუკეთესოდ შეიძლება ჩაითვალოს თავისი კეთილმოწყობით, სპორტული კომპლექსით, საცურაო აუზით, საავადმყოფოთი, პროფილაქტორიუმით და დასასვენებელი სახლებით. ქარხნის დევიზია: „ყველაფერი ადამიანისათვის, მისი კეთილდღეობისათვის“: ზრუნვა კი რუსთაველმა ქიმიკოსებმა სამართლიანად დაიმსახურეს. ისინი ამიერიდან 765 ათას ტონა პირობით ერთეულ მინერალურ სასუქს გამოუშვებენ, რაც ერთიორად მეტია დღემდე გამოშვებულზე.

როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა: „ყოველივე ეს საშუალებას მოგვცემს სასოფლო-სამეურნეო წარმოება ავიყვანოთ ახალ, უფრო მაღალ დონეზე, უფრო წარმატებით შევასრულოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოების გადიდებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი დაჩქარებული განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

ახალი, 1980 წელი იქნება რუსთავის ქარხნის მეორე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ობიექტის — მანგანუმის ელექტროლიზური ორყანგის საამქროს ამუშავების წელიც.

ლალი დეკანოსიძე



# ეძიებს და ჰპოვებს...

ნარკვევი

აქედან ჩანს მთელი სოფელი, ამ მაღლობიდან თითო-თითოდ რიგდებიან იმერული ოდები, კოინდრიანი ეზოები თუთისა და ბლის ხეებით, მოკაკანე ქათმებით, სარზე მიბმული საქონლით...

გორმაღალა სოფელია, უბეში რომ ჩასჯდომია სამტრედიას და მისი მომაღლო გადმოსახედიდან იწყება ყველა გზა და ორღობე, რომლებიც ადამიანთა სადგომებთან წყდება და მერე ისევ გრძელდება კანტორისაკენ, ყანისაკენ, ჩაისაკენ...

აქედან შეიცნო მთელი ქვეყანა, ცხოვრება — სიხარულით, მწუხარებით, შრომით და პატიოსნებით...

ჯერ თუ წიგნი უნდა სჭეროდა და ყოველ დილას სკოლაში ერბინა, იცოდა, როცა მოიზრდებოდა, სხვა ქალებივით გაიდებდა თოხს ან კალათას, ლამაზ თმას და შუბლს სამკუთხა ჩითით დაიმალავდა და გაიხურავდა ოდის კარს.

გაკვეთილების შემდეგ ან თუთის ფოთლის საკრეფად აცოცდებოდა ხეზე, ან ძროხას მოაძოვებდა, ან კეცებს გაახურებდა, რომ შინ დაბრუნებული მშობლებისათვის ცხელი მჭადი დაეხვედრებინა ვახშმად.

მთელი ქვეყნის სიკეთედ მას კარგი მოსავალი მიაჩნდა, რადგანაც სოფელში წელიწადის ყოველ დღეს ამაზე ფიქრში ატარებდნენ. და რომ კარგი ჩაი და სიმინდი ჰქონოდათ, რომ დაედგათ აბრეშუმის პარკის გორები, ოჯახებში შეენახათ სიმინდი და ყველი, თუ წვიმა არ იყო, ნატრულობდნენ, თუ მზე მოაკლდებოდათ, მას ელოდნენ.

და მაშინ იცვამდნენ გოგონები ახალ ჩუსტებსა და „შოტლანკის" კაბას, როცა სოფელში კარგი მოსავალი იყო, მაშინ ყიდულობდნენ პალტოს და თავსახვევს, ლამაზ მძივებსა და წითელთვლიან ბეჭედს.

რაც თავი ახსოვს, სოფლის სიკეთე და ყველა გოგოს სიკეთე მოსავალზე იყო დამოკიდებული.

თითქოს ბოლო გაკვეთილს ელოდა. მანამდე არაფერი უთქვამს, ხოლო როცა ტოლებთან ერთად სამუდამოდ გადმოაბიჯა სკოლის ზღურბლს, ატესტატი სუფრის ქვეშ ამოსდო და შინაურებს უთხრა: — ჩემი სოფლის გადმოსახედიდან ყოველდღე თბილისს ვხედავო.

ეს ისე მოულოდნელი და გადაწყვეტით ნათქვამი გამოვიდა, რომ არავინ შედავებია იქ წასვლაზე. ერთ დღეს ჩემოდანი ჩაალაგა, ღამის მატარებელში ჩაჯდა და ქართლის გვირაბი გამოიარა. ელმავალმა მთელი ღამე ატარა და, როგორც იქნა, დილით ადრე, თითქოს ზღაპარში მოახვედრაო, უძინარ გოგოს თბილისი დაანახვა.

თბილისმა მიიღო, თავის ორომტრიალში მოაქცია, ბუზივით არეულ ხალხში ატარა, საბურთალოზე, ინსტიტუტთან ბევრი მღელვარება არგუნა, თვალები წიგნების კითხვით გამოულამა, მაგამ ნიშანი მაინც დააკლდა და სტუდენტობა სანატრელად დარჩა. სოფელში გაბრუნებისა შერცხვა, ბევრი არ უფიქრია, პროფტექნიკურ სასწავლებელს მიაშურა კერვის შესასწავლად.

ახლა იმას ფიქრობდა, გოგონების ნატვრა აეხდინა, ყველა გოგოსთვის კარგი კაბა შეეკერა — გორმაღლელებისთვისაც, სამტრედიელებისთვისაც, თბილისელებისთვისაც, ორი წელი ისწავლა, აითვისა პროფესია და ნინოშვილის ქუჩაზე, ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკას ეწვია.

იცოდა, მარტო სასწავლებელში მიღებული ცოდნა არ ეყოფოდა, თუ ვეტერანი მუშებისაგან არ ისწავლიდა უზადო კერვის ხელოვნებას.

და დღეს უკვე 35 ოპერაციის შესრულება შეუძლია.

ალალი, პირდაპირი, გულმართალი ხასიათი დაეხმარა ადვილად შეგუებოდა კოლექტივის თითოეულ წევრს, ყველას სიყვარული რგებოდა. მაშინ სოფლის გადმოსახედიდან იმას როდი ხედავდა, რაც თბილისში, თავის საწარმოში ნახა და ისწავლა — სამუშაოს ზუსტი შესრულების ოსტატობა, შთაგონება, გამომგონებლობა და შემოქმედება.

ეს ის თვისებები იყო, რამაც სხვებისაგან გამოარჩია, თვალში საცემი გახადა მისი ნამუშევარი, დაფასებული და აღიარებული გახდა თვითონ. პარტიის რიგებში მიიღეს, როგორც ღირსეული პიროვნება. ოქტომბრის რაისაბჭოს აღმასკომის წევრად აირჩიეს, სამჯერ იყო რაიონული საბჭოს დეპუტატი.

ყველას ეხმარება, ყველას სიხარულსა და ტკივილებს იზიარებს, ყველა საქმისთვის იბრძვის, რაზეც ამომრჩევლები აკითხავენ. ეძიებს და ჰპოვებს.

ამიტომაც უფრო დიდი მისია დააკისრეს და სამკერვალო ფაბრიკის მუშა, სახელოს ჩამკერებელი, რომელიც დღეში 100-120 ქალის ქურქს ამზადებს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს.

ნუნუ ლორია ამ დიდი ნდობისა და დაფასებისათვის ერთგულ სამსახურს ჰპირდება ხალხს.

ლია კაკაბაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

# შოთა ნიშნიანიძე

შოთა ნიშნიანიძის პოეზიაზე საუბრისას, პოეზიაზე, რომელიც თანაბრად საყვარელია ყველა ქართველისათვის, სამართლიანად ითქვა: „შოთა ნიშნიანიძე ჩვენი საუკუნის პოეტია, იგი ატომისა და კოსმოსის ათვისების ეპოქაში ცხოვრობს და მის ლექსებში ჩვენი თანამედროვეობა სუნთქავს, თავისი შფოთითა და მღელვარებით“. მის ღონიერსა და ჯანსაღ შემოქმედებას თემის მრავალფეროვნება და ორიგინალობა ამდიდრებს. ამ თემათა ნაკადში საგრძნობლად გამოირჩევა მთელი რიგი ლექსებისა, სადაც პოეტი ჩვენი ხალხის, ქართველი ერის სიმრავლისა და სიმძლავრისაკენ მოგვიწოდებს. ვბეჭდავთ მის ორ ლექსს და, ამასთან ერთად, ვულოცავთ შოთა ნიშნიანიძეს მისი დაბადების 50 წლისთავს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ქართული პოეტური სიტყვის საკეთილდღეოდ.

## ქასიდა

I

რა გალეულს და ფერწასულს გხედავ,
ჩემო პანია, ცოდვილო დედა,
ვაიმე, როცა საშოში მჭრიდნენ,
რაიმე ხომ არ გატკინე ნეტა.

არ შეგეშინდეს, შვილი ვარ შენი,
შენი ტანჯული სისხლი და ხორცი,
ნიავი ვარ და მგონია გშველი, —
სიცხიანს, მწუხარს კულულზე გკოცნი.

მაგ ბავშვურ შუბლსაც გიკოცნი მორცხვად,
გაბუსხულ ტუჩსაც, ბავშვურად ლამაზს...
ახლა სული ვარ და უფალს ვლოცავ—
შენს გადარჩენას ვულოცავ მამას.

მადლობა უფალს, რომ არ დაგვღუპა,
არ დამიობლა ძმები და დები.
მე კი, ბარტყივით ტანშეუბუმბლავს
ცად ანგელოზმა მაჩუქა ფრთები.

როგორ მინდოდა, მეც მოგსწრებოდი,
მეც გამეხარა ამ სამზეოთი,
მეც დამეძახა შენთვის „დედიკო“
და მამას ყელზე შემოვხვევოდი.

ჩაწნული ვიყავ მომავლის ფიქრთან,
როგორც პეპელა ყვავილში რგული,
დაბადებამდე რამდენი მიკლდა,
ითვლიდა ჩემი პანია გული.

ალბათ, გგონივარ დაღლილი სხივი,
ალბათ, გგონივარ სუნთქვა სიოთა,
შენ ხომ უძლებდი საკუთარ ტკივილს,
მე კი, ძვირფასო, შენიც მტკიოდა.

თურმე ტყუილად მომიხაროდა,
შეხვედრა შენთან, ძმებთან და დებთან,
ახლა მოგტირით სხვა სამყაროდან
არარაობის ჩრდილი და სევდა.

რად გაანბილე ღვთის იმედები,
რატომ შეშალე და გაამრუდე,
ანგელოსების და პლანეტების
კეთილი გათვლა და ვარაუდი?

II

ჰოი, დედებო, რა პასუხს აძლევთ,
რას ეუბნებით წარსულს და ხვალეს,
ვინ მოუაროს ვაზივით გამძლე
დიდების მსურველ პატარა მხარეს!
ვინ მოუაროს შენს ზვრებს და ანბანს,
შენს ხმებს, ჩუქურთმებს, იმედებს,
სიზმრებს.
მაგ ცოდვას რაღა მირონი გაბანს
და მაინც გამშრალ ტუჩებზე ვიმცვრევ!

მირონო, ჩემი მიწის მირონო,
იმედო, რწმენავ — სულ შემენახე,
სულ იარაგვე, სულ ირიონე,
სულ იჯეჯილე, სულ ივენახე.
— კიდევ სად არის სხვა საქართველო?
ჰყივის ლექსი და ციხის ქონგური.
— მიწაში, დედავ...
და ვინ დათვალოს
შვილი და ძირი, ჩემებრ მოკლული.
თუ სვეტიცხოველს ვერ ავაგებდით,
„ვეფხისტყაოსანს“ თუ ვერ დავწერდით,
მაინც ზედმეტი და მოსაკვეთი
არ ვიქნებოდით შენთვის არცერთი...

შვილთა სიმრავლე დაგბედებოდეს
მტრედის გრუტუნი და მუხის ჩერო,
ჩხებით,
აკვნებით და ბუდეებით
ამაღლდი, ჩვენო ფუძევ და ჭერო!..

## სერობის ღამე მერაბ ბერძენიშვილის ძეგლთან — „კიდევაც დაიზრდებიან“

I

მეც ვიცი ერთი სერობის ღამე —
თბილისის კართან ისმის გალობა:
— ქართველო, ხელი ხმალს იკარ!
— ამინ!
— შენ ხარ ვენახი...
შენდა წყალობა.

მოდის და მოდის ერი სამსჯავროდ,
მოდის და მოდის, მოდის უწყვეტად...
და კვარცხლბეკს ისე შემოსჯარვიან,
თითქოს საომარ კოცონს უსხედან.

სხედან მეფენი, მხედართმთავრები,
წმინდა მამანი თუ მდაბიონი,
ბჭობას და დავას ვერ ამთავრებენ
და ძეგლიც მოჩანს, ვით ამბიონი.

დროშებთან დგანან ერის მგოსნებიც,
როგორც ხატობას ხევისბერები,
თითქოს სატევრებს მოაცოცებენ,
ჩანგებზე ისე უდევთ ხელები.

— ყივის თუ არა ქართული სისხლი?
ისევ სოლომონ კითხულობს ბოლმით,
პასუხად დინჯი ხორხოცი ისმის
ჯუბაჯვრიანი სამასი მოყმის.

იქვე მხლებელი ანგელოსებით
დგას ერთი ბიჭი და გულიც ერჩის.
მოჭრილი თავი (ო, საოცრებავ!)
ბიჭს ჩაჩქანივით უჭირავს ხელში.

II

ჰოი, ოსტატო, რა გვიანბანე,
რად ჩაგვაფიქრე მტერიც, მოყვარეც,
ცოცხლებს რა უშავთ... მამა-პაპანი
საფლავებიდან რად წამოყარე!

გვიყივის შენი სული ძლიერი,
ჯიშის, მძლეობის ვხდებით მორწმუნე;
ეს რა გვიყავი, შე ღვთისნიერო,
რა სიამაყის ცრემლი მოგვწურე.

და მაინც შიში ვერ ჩამიჩუმე...
ნუგეში მაინც ვერ მომიტანე...
კბილს ნუ უსინჯავ მაგ მეელბიჭუნებს,
ბუნებს ნუ აუშლი ბალღობიდანვე.

ვაშა გმირულ სულს!.. ოღონდ, ოსტატო,
მახვილი ეგე იყოს უსისხლო,
ბიჭებმა წარსულს ვერ გამოსტაცონ,
ვერც მომავლისთვის ვერ იგულისხმონ!

ვის რაში უნდა შურისძიება,
ისეთი სიმწრით გვზრდიან დედები...
— არა, შვილებო,
— არა, ძირებო,
მაგ მახვილისთვის არ მემეტებით!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ ვარაზანაშვილი

# მსახიობი

მოთხრობა

მხატვარი ლია სვანიძე

როდესაც რეჟისორმა ფატი ფარსადანიძეს ახალი როლი — „მოღალატე ქმრის მეუღლეობა" შესთავაზა, არავის გაჰკვირვებია. ასეთი ხასიათის როლებში ფატი დახელოვნებული იყო. მასავით ვერავინ ხსნიდა ტანჯული ქალის ხასიათს, მის სულიერ სამყაროს, ცრემლმორეული მთელი ძალით რომ იბრძოდა ოჯახის დანგრევის წინააღმდეგ, ათასგვარი ხერხით რომ ცდილობდა გულქვა მეუღლეზე ზეგავლენა მოეხდინა და ისევე თავისკენ შემოებრუნებინა. ერთი სიტყვით, ისე ბუნებრივად განასახიერებდა შეურაცხყოფილი ქალის სახეს, როგორც თეატრში ამბობენ, მთლიანად „როლში" ჩაჯდებოდა ხოლმე. მას ანგარიშს უწევდნენ, აფასებდნენ. დრამატურგები სპეციალურად მისთვის წერდნენ პიესებს.

ფატი ფარსადანიძე არ იყო კმაყოფილი საკუთარი წარმატებით.

— მე ჩემი გასაჭირიც მეყოფა, დავიღალე ყოველდღე სხვისი წუხილის გადმოცემით, — იტყოდა ყოველი სპექტაკლის დამთავრების შემდეგ ღონემიხდილი და მართალიც იყო: გულთან ძალზე ახლოს მიჰქონდა სცენაზე გათამაშებული ტრაგედია. მთელი არსებით განიცდიდა გმირის ტანჯვას, თუმცა მეგობრები უშლიდნენ. ასეთი თამაშით დიდხანს ვერ შეჰყვები სცენასო. მრავალი მაგალითი მოჰყავდათ გამოჩენილ მსახიობთა ცხოვრებიდან, რომელნიც უდროოდ დაიფერფლნენ მხოლოდ იმიტომ, რომ „თამაში" არ იცოდნენ.

ფატი ღიმილით ეთანხმებოდა ყველას, პირობას დებდა, მეტს აღარ მოვიქცევი ასეო, მაგრამ გავიდოდა სცენაზე თუ არა, ნაცნობ გარემოში მოხვედრილი მყისვე ივიწყებდა ყოველგვარ შთაგონებას. პიესის მოქმედება ნელ-ნელა იტყუებდა, ბანგივით ათრობდა და საკუთარ „მეს" ავიწყებდა. ის ახლა მხოლოდ სხვისი ტკივილით იტანჯებოდა, სხვისი ცრემლებით ტიროდა, სხვისი უბედობით ცხოვრობდა...

ბევრს მოსწონდა მსახიობის ამგვარი გარდასახვა. ნამდვილი ხელოვანი ასეც უნდა იქცეოდესო, — ამბობდნენ. მიმომხილველებს ხომ ქებით პირდაპირ ცაში აჰყავდათ. ფატი კი, ყოველი ასეთი სპექტაკლიდან გამოფიტული და სულიერად დაცარიელებული მიდიოდა შინ და ხანდახან იმის თავიც აღარ ჰქონდა, ბავშვებს მიჰფერებოდა ან გასწყრომოდა, როცა ისინი, ჩვეულებისამებრ, გადაჭარბებული სიცელქით თავს აბეზრებდნენ.

ბევრჯერ სხვა ხასიათის როლი შესთავაზეს: ხან მოხუცი ქალის, პირზე ერთთავად სხვისი დარიგება რომ ეკერა. ხან პეპელასავით ამჩატებული ქალიშვილებისა, ეს ქვეყანა მარტოოდენ გამაბრუებელ წალკოტად რომ ეჩვენებოდათ, მაგრამ უარი თქვა: ჩემს გულთან ახლოს არ მოდის მათი ხასიათებიო, ამბობდა, თუმცა თვითონაც მშვენივრად უწყოდა, რომ მსახიობს ყოველი, თუნდაც ხასიათებით ერთმანეთისაგან ძლიერ განსხვავებული როლის თამაში უნდა შესძლებოდა.

— ბალზაკისა არ იყოს, მეც მაქვს ჩემი სისუსტე, — იტყოდა ხოლმე ნაღვლიანი ღიმილით, — განა რა არის იმაში ცუდი, თუ მე ჩემი ხასიათის მქონე გმირებში უკეთესად ვგრძნობ თავს?

ამაზე ვერაფერს უპასუხებდნენ. ზოგი მხოლოდ მხრებს იჩეჩდა, — ჩვენ რა შეგვიძლიაო. რეჟისორი კი მრგვალ მაგიდასთან წაიკითხავდა პიესას და ნაცნობი სახე აღმოჩნდებოდა თუ არა, ყველამ იცოდა, ფატის გარდა მას სხვა ვერავინ ითამაშებდა.

ახლაც, როდესაც რეჟისორმა ახალი როლის მომზადება მიანდო, ხმა არ ამოუღია, ჩვეულებრივ ამბად მიიღო. პიესა საინტერესოდ მოეჩვენა, ერთი ოჯახის დრამას ეხებოდა. აქ ყველაფერი იყო, რაც ასე მოსწონდა და აღელვებდა მაყურებელს: ხვეწნა-მუდარაც, ცრემლებიც, გრძნობათა შეხლაც, აღელვებული შეძახილებიც, ბრაზიცა და, დაგუბებული ბოღმის გადმონთხევაც.

— საწყალი ფატი, — ჩურჩულებდნენ პიესის კითხვის დამთავრების შემდეგ მსახიობები, — ბედი არა სწყალობს... ამ ბოლო დროს როგორღაც მოტყდა... თანაც ასეთი როლი...

— ხუმრობა ხომ არ არის...

— ძალიან მძიმე მოქმედებაა... ცოტა რომ შეამსუბუქოს ავტორმა...

— რეჟისორს ვთხოვოთ...

მაგრამ რეჟისორმა ახლოსაც არ გაიკარა ზოგიერთის მოსაზრება.

„მე უკვე მქონდა ავტორთან საუბარი, — განაცხადა შეუვალი ტონით. ჩვენს მაყურებელს სწორედ ამნაირი პიესები სჭირდება: ზემოქმედების მომხდენი, გულში ჩამწვდომი, დამაფიქრებელი... დროა გავიგოთ, პიესას ჩვენთვის კი არა, მაყურებლისათვის, ხალხისათვის ვდგამთ... მათ ჩვენ მიერ განსახიერებულ გმირებში საკუთარი თავი უნდა იცნონ, სხვისი ტრაგედიით დაინახონ, გულში ჩაიხედონ, სული გამოიჩხრიკონ... — და კიდევ ბევრი ამნაირი ყოვლისშემძლე სიტყვები დაახვავა.

რეჟისორის გადაწყვეტილება, როგორც ყოველთვის, მართალი და ურყევი იყო. ყველა დასაქმებული მსახიობი შეუდგა საკუთარი როლის შესწავლას.

* * *

პიესის ანონსმა ხალხი დააინტერესა. გაზეთებშიც გამოჩნდა ცნობები. ტელევიზიითაც გადასცეს ინტერვიუ რეჟისორთან და ავტორთან. ნაწყვეტიც უჩვენეს გენერალური რეპეტიციიდან, ასე რომ, მაყურებელი მთლიანად დაინტერესებული და ახალი სპექტაკლის სანახავად მომზადებული იყო.

ჩვეულებისამებრ, იმ საღამოსაც მრავალმა ხელოვნებათმცოდნემ, თეატრმცოდნემ, კრიტიკოსმა, ჟურნალისტმა, ფოტორეპორტიორმა, რეცენზენტმა და ყოველგვარმა შემფასებელმა მოიყარა თავი თეატრის პარტერში. პიესის პირველი წარმოდგენის პირველი გემო მათ უნდა დაეჭაშნიკებინათ; ყველაფრის მნახველ კირკიტა გულში უნდა გაეტარებინათ სპექტაკლის ავიცა და კარგიც. მსახიობთ კი მხოლოდ ერთი და იგივე შეკითხვა უშფოთებდა გულს: როგორ შეხვდებიან პირველ მოქმედებას? როგორ მიიღებენ სპექტაკლს? წყალში ხომ არ აღმოჩნდება გადაყრილი ამდენი შრომა, თავგანწირვა!!

რეჟისორი უხმოდ ათვალიერებდა სპექტაკლის ყოველ მონაწილეს. მისი მისია დამთავრდა. დამთავრდა უძილო ღამეების ტეხვა და სიზმრადქცეული რეალობა, ნერვული ატმოსფერო და ბრაზმორეული შეძახილები. ყველაფერი კალაპოტში ჩადგა და ერთ მთლიან დინებას დაემორჩილა. რეჟისორმა ყველაფერი იღონა, თავისი სულის ნაწილი მსახიობებს გადასცა. თითქოს აღარაფერი ესაქმებოდა აქ, სცენაზე, და მანაც მალე მაყურებელთა დარბაზში გადაინაცვლა. ახლა ყველაფერი მსახიობთა თამაშზე იყო დამოკიდებული. მათ შეეძლოთ გაემარჯვათ ან დამარცხებულიყვნენ. თავიანთი თამაშით, ისევე, როგორც სარდლის დავალებამიღებულ მეომრებს, შეეძლოთ განაჩენი გამოეტანათ რეჟისორისთვისაც, პიესის ავტორისთვისაც, საკუთარი ოსტატობისთვისაც...

სხვებისგან განსხვავებით, ფატი ფარსადანიძე არ ღელავდა. აბა რა მაქვს სანერვულო, ჯერ ხომ ისევ ჩემს თავს ვეკუთვნიო — ამბობდა მთელი სერიოზულობით და ტუჩის კუთხეში ოდნავ შესამჩნევი ღიმილი გაჰკრავდა ხოლმე.

ახლაც, სანამ სცენაზე გასვლის დრო მოუწევდა, დამშვიდებული იჯდა სავარძელში და კედლის ერთი წერტილის შემყურე, რაღაცაზე ფიქრობდა. როლი ზეპირად იცოდა, სუფლიორის დახმარებასაც არ საჭიროებდა. მეხსიერება კარგი ჰქონდა და, საერთოდ, კეთილსინდისიერად ეკიდებოდა თავის საქმეს, მისთვის არ არსებობდა პატარა თუ დიდი როლი, ამაში რეჟისორიცა და პარტნიორებიც დარწმუნებული იყვნენ...

რეჟისორის თანაშემწე ჩვეული ადგილიდან თვალს ადევნებდა პიესის მსვლელობას. იქვე შეყრილიყვნენ დანარჩენი მსახიობები, რომელთა სცენაზე გასვლის დრო ჯერ არ იყო, მაგრამ ვეღარ ითმენდნენ, მაყურებლის რეაგირების შეტყობა სურდათ...

და აი, ფატი სცენაზეა. ნაცნობი გარემო... რამპის ჩირაღდნები რბილად ანათებენ მოხატულ კედლებს. ეს „მისი სახლია“, წინ კი, მაგიდასთან, სკამზე თავჩაღუნული „მეუღლე“ ზის. სწორედ ის, ვინც უღალატა, მიატოვა, სხვის მიერ მოხიბლული თუ გაბრიყვებული უკანვე დაუბრუნდა და ახლა პატიების მოლოდინში უხმოდ ელოდება განაჩენს.

როგორ მოიქცეს შეურაცხყოფილი ქალი, მიიღოს მოღალატე და პირის გამტეხი?..

„მოვედი... აი, მოვედი“... — ლუღლუღებს „ქმარყოფილი“ და უაზროდ აწვალებს ქუდს, არ იცის, რა მოუხერხოს, ხან მაგიდაზე დებს, ხან მუხლებზე ჩამოუცურდება...

„გხედავ, რომ მოხვედი“, — ღრმად ჩაისუნთქავს ფატი, პიესის მიხედვით ელენე.

„იქნებ... იქნებ... — წრიალებს „მეუღლე“, ვერ გაუბედავს სათქმელი. სიმწრისგან ოფლი მოსდის. ცხვირსახოცით იმშრალებს შუბლს, ცოლის გაქვავებული სახის დანახვა აკრთობს, — ჰოდა, მეც აქ ვარ“.

„მშვენივრად გხედავ, ჯერ თვალში სინათლე არ დამკლებია, თუმცა ცრემლისგან ამომწვარი მაქვს“, — უპასუხებს ცოლი და უაღრესად აბნევს პატიების მოლოდინში სუნთქვაშეკრულსა და მხრებაწურულ მეუღლეს.

ამგვარი დახვედრით გაკვირვებულმა „ქმარყოფილმა“ თავი ასწია, ფატის შეხედა კითხვის გამომხატველი მზერით, არ იცოდა, რა ეფიქრა.

„ვხედავ, რომ აქა ხარ! — ხმას აუწია ფატი-ელენემ, — მაგრამ, ერთიც ვიკითხოთ, ვინ მოგიპატიჟა, როდის გამოგიგზავნე მოსაწვევი ბარათი?! რაო, მოგბეზრდა ხეტიალი და ჯანგატეხილმა ისევ ძველ ბინას მოაკითხე? ალბათ იმედი გქონდა, ხელგაშლილი მიგიღებდი, გულში ჩაგიკრავდი... თუ იცი, რამდენ ღამის ტეხად, რამდენ სიმწარე გამოვლილ დღედ, რამდენ ცრემლით დასველებულ ბალიშად დამიჯდა შენი გაქცევა?.. შენ აგერ აქ დამარტყი მახვილი, დამიმსხვრიე ყველაზე უწმინდესი, სათუთი გრძნობა, ფეხქვეშ გათელე ჩემი სანუკვარი ოცნება, ჩემი დედობა... ვიღაც საეჭვო ყოფაქცევის გომბიოზე გამცვალე და ახლა, როცა მიგატოვა, მოსწყინდი, უკან ბრუნდები? ბოდიშს ვიხდი, მაპატიეო! — დამცინავი რევერანსი გააკეთა ფატი-ელენემ. ხმა თანდათან გაუმკაცრდა, სიცივე ჩაეღვარა სულში, — არა, არა!.. მეც ადამიანი ვარ, მეც მაქვს თავმოყვარეობა... მე ერთხელ ვიცი სიყვარული... გატეხილი ქოთანი აღარ მთელდება!...“

„მეუღლე-კაპიტონი“ თვალებდაჭყეტილი შეჰყურებდა გაშმაგებულ ფატის, რომელიც სულის მოთქმის საშუალებასაც არ აძლევდა. ბოლოს, როცა ფატიმ ერთი წამით შეისვენა, ძლივს მოახერხა სიტყვის ჩართვა:

„ელენე!..“

„დიახ, ელენე ვარ! — ყინულივით ცივი ხმით მიუგო ფატიმ, — ის ელენე ვარ, ადრე მზე და მთვარე რომ ამოსდიოდა შენზე... ახლა კი მეზიზღები, საშინლად მეზიზღები!... მოღალატის პატიება არ შემიძლია, არა!“.



„ელენე, დაწყნარდი, რა მოგდის, — გაოგნებულმა კაპიტონმა აღარ იცოდა, რა ექნა, — ფატი, რას ამბობ, ფატი!“

მაგრამ ფატის აღარაფერი ესმოდა. დაგუბებული სათქმელი ყელში მობჯენოდა და თავს ვეღარ იკავებდა. მერე ერთბაშად ქვითინი აუვარდა, სკამზე დაემხო და სახე ხელებით დაიფარა; მხრები აუთახთახდა, წელში ნელ-ნელა მოიხარა, თითები ცრემლებმა დაუსველა...

სიჩუმე ჩამოვარდა სცენაზე, დარბაზი [illegible]აბული იყო. მხოლოდ პარტერის უკანა რიგში აჭრიალდა ერთი სკამი, — ელდანაცემი რეჟისორი სწრაფად წამოდგა.

„რა გაეწყობა, რადგან მოხვედი, შენი ფეხით მოხვედი, მიპატიებია... მი-პა-ტი-ე-ბი-ა!.. — გარკვევით ისმოდა სუფლიორის ჩურჩული მი-პა-ტი-ე-ბი-ა!“...

სიტყვები, როგორც იქნა, ჩასწვდა ფატის ყურთასმენას. ზეზე წამოდგა, თმა შეისწორა, ხელი კარისკენ გაიშვირა.

„არავითარი პატიება, არა-ვი-თა-რი! გესმის შენ?! არა-ვი-თა-რი!.. კმარა ამდენი შეურაცხყოფა! დარდისაგან ლამის გული გამისკდეს.. ქუჩაში ვერ გამივლია, მგონია ყველა ჩემზე ჭორაობს!.. წადი იქ, საიდანაც მოხვედი. დაე ყველამ გაიგოს შენი ლაჩრობის ამბავი!“

სცენის ბნელ კუთხეში მიყუჟული მსახიობები მოჯადოებულებივით იდგნენ და ხმის ამოღებას ვერ ბედავდნენ. ქალებს ცრემლები უბრწყინავდათ თვალზე და მალულად იწმენდნენ. ყველა მიხვდა, რომ ფატიმ გადაუხვია პიესის მსვლელობას, მის დედააზრს, საკუთარი სიტყვებით ალაპარაკდა, მაგრამ ყოველივე ეს ისე ბუნებრივად შეერწყა მოქმედების მსვლელობას, ისეთი სიმძაფრით იქნა გათამამებული, რომ საწინააღმდეგო აზრიც კი არავის გაუვლია გულში. მხოლოდ ეგ იყო, აცრემლებულმა და დაბნეულმა რეჟისორის თანაშემწემ ჩაილაპარაკა ყრუ ხმით: „გადირია ფატი, თუ რა მოსდის, ნეტავი?“

რეჟისორი გაშმაგებული ამოვარდა სცენაზე.

— რაღას უყურებთ, დაუშვით ფარდა, ჩქარა დაუშვით! — ბობოქრობდა გამძვინვარებული. ბრაზისგან აჭარხლებულმა აღარ იცოდა, ვის დასტაკებოდა, ვისზე ეყარა ჯავრი: — ნუთუ არ გესმით, რომ შეიშალა და რაღაცას ბოდავს? დაუშვით ფარდა!...

ფარდა ზოზინით დაეშვა სცენაზე, თითქოს არა სურდა ამ ერთი ოჯახის ტრაგედია მოწყვეტილიყო დარბაზში მყოფთაგან, მათ შუა ჩამდგარიყო, გადაულახავ კედლად აღმართულიყო.

ფარდა ჯერ კიდევ არ შეხებოდა იატაკს, დარბაზში აფეთქებული ტაშის გრიალი მგრგვინავ ოვაციად რომ გადაიზარდა.

— ფატი! ფატი! — გაჰყვიროდნენ აქა-იქ. — ვაშა!...

კუშტად იდგა რეჟისორი და ხმას არ იღებდა. მთრთოლვარე მოლოდინით შესცქეროდნენ მსახიობები, მეხის გავარდნასავით ელოდნენ მის სიტყვას, თუმცა მაყურებელთა რეაგირების მოსმენისას, ზოგიერთს იმედის სხივმა გაუნათა შუბლი. ოვაცია გრძელდებოდა. რეჟისორს აჭარხლებული სახე დაუმშვიდდა, ფერი დაუბრუნდა, ღრმად ჩაისუნთქა. წამით მზერა თავდახრილ ფატიზე შეაჩერა და უკან გადაყრილ თმაზე ხელი გადისვა.

— ასწიეთ ფარდა! — ფარდა სწრაფად ავარდა ზევით, კვლავ გამოაჩინა სცენაზე მაგიდასთან მჯდარი, თვალებზე ხელაფარებული ფატი, მის წინ კი წყლით სავსე ჭიქით, წელანდელი მისი პარტნიორი...

დარბაზში დუმილი ჩამოწვა. მძიმე, მტანჯველი მოლოდინით სავსე დუმილი...

მერე კი, ხელახლა ხანძარივით იფეთქა ტაშმა...

* * *

გარეთ გვერდითა კარით გამოვიდა, არ სურდა მაყურებლებთან შეხვედრა, მათი აღტაცებული აზრის მოსმენა. ათასი ნაცნობ-უცნობი ჩამოართმევდა ხელს, საქებარი სიტყვების კორიანტელს დააყრიდნენ... ზოგი გულით, ზოგი პირფერულად, ზოგიც ისე, სხვათა შორის მიულოცავდა. რეჟისორი მწყრალი დატოვა. მართალია, სხვების დასანახად იღიმებოდა, მაგრამ ფატიმ კარგად შენიშნა ამ ღიმილის მიღმა დარჩენილი ბოღმის ნარჩენი და დროზე გაერიდა, — დატუქსვას ველარ აიტანდა, გული ისედაც გადაღლევასა ჰქონდა. არაფერზე არ ფიქრობდა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს შინაგანად დაცლილი იყო, თითქოს ყველაფერი, რაც მის ძარღვებში ჩქეფდა, იქ დატოვა, სცენაზე. სიცარიელეს გრძნობდა. ერთი სული ჰქონდა, როგორმე შინამდე მიეღწია, ჩაწოლილიყო ლოგინში, დაეხუჭა თვალები და ყველაფერი ამქვეყნიური დაევიწყა.

გვიან შენიშნა უკან ატორღიალებული მამაკაცი. არ დაუნახავს, მაგრამ გუმანით იგრძნო, მას რომ მოსდევდა.

„კიდევ ერთი თაყვანისმცემელი... — გაიფიქრა უმადურად. ახლა არავისთან ლაპარაკის სურვილი არა ჰქონდა. — ნეტავი ჩამომშორდებოდეს... რა უნდა იფიქრონ, ნაცნობებმა რომ დამინახონ?“

ფეხის ხმა არ წყდებოდა. ნაბიჯები ზურგს უწვავდა.

ავტობუსის გაჩერებასთან შეჩერდა და თავისი სახელიც მოესმა:

— ფატი...

ამ ხმამ ელვასავით დაარტყა, შეკრთა, ყველაფერს ელოდა ამის გარდა. როგორ არ იცნობდა ამ დაგუდულ, ოდნავ ჩახლეჩილ ხმას. ათასში გამოარჩევდა. ყოველთვის ახსოვდა და ყოველთვის ყურებში ედგა. გული ლამის მკერდიდან ამოუვარდა. ერთი წამით თავი კვლავ სცენაზე წარმოიდგინა.

სიზმარში ხომ არა ვარო, ესეც კი გაიფიქრა. უეცრად შემოტრიალდა და პირისპირ აღმოჩნდა მაღალ მამაკაცთან.

„ისევ ისეთია, სულ არ შეცვლილა. ღმერთო ჩემო, რა უნდა ვუთხრა ახლა?“

— ეს მე ვარ, ფატი, — ჩაესმა ოდნავ გასაგონად ნათქვამი, — ბონდო.

— ვიცი, — თვალები დახუჭა და ისევ გაახილა, — გხედავ.

„რა ვუპასუხო, ღმერთო, რა ვუპასუხო?.. ისე ვარ დაღლილი, თავიდან ყველაფერი გამიფრინდა“... — ფიქრობდა შეწუხებული, თვალს კი მაინც არ აცილებდა მისთვის ეგზომ ნაცნობ სახეს.

— ბავშვები მომენატრა და ჩამოვედი, — განაგრძობდა ბონდო, — სულ ჩამოვედი... ქალაქში აფიშები ვნახე გაკრული... შენი სახელი ამოვიკითხე და თავი ვერ შევიკავე... სურვილი აღმეძრა დავსწრებოდი... ძლივს მოვახერხე შესვლა... რა ამბავი იყო!..

ფატი გახევებული იდგა.

— გესმის, ფატი!...

— ჰო, მესმის.

— შენ ვერ მხედავდი... მე კი გიყურებდი და არ ვიცოდი, რა მეფიქრა. მეშინოდა, სხვებსაც არ გაეგოთ შენი სიტყვების აზრი. შენი გუმანი. ეგ ბრალდება ხომ ჩემდამი იყო მომართული... ძალიან მკაცრად მოექეცი იმ ვიღაცას. შემეშინდა, ვაითუ მეც ასე მიმიღოს-მეთქი. დიდხანს ვყოყმანობდი. ბოლოს ბავშვების სიყვარულმა დასძლია ყველაფერს... — მცირე ხანს იყუჩა და თავდახრილმა ჩურჩულით დაუმატა: — შენი ნახვაც მომინდა. მომენატრეთ... მეტს არაფერს გთხოვ, დანარჩენი თვითონ გადაწყვიტე.

— არ ვიცი... ისეთი დაღლილი ვარ... არაფერი შემიძლია გითხრა, — ფატი წყნარად ლაპარაკობდა, ოდნავ გასაგონად. ქუჩაში კანტიკუნტად მიდიოდნენ გამვლელნი. მათ ყურადღებას არავინ აქცევდა.

— ბევრი რამ ვისწავლე ამ ხნის განმავლობაში, — განაგრძობდა ბონდო, — თურმე ჭკუის შეძენა არც ისე იოლი ყოფილა... ბევრმა რამემ ამიხილა თვალი... ბავშვები მენატრება... გულზე ცეცხლივით მედება, როცა გამახსენდებიან.

— ახლა? — არ უნდოდა, მაგრამ მაინც დასცდა ფატის ბაგეს.

— მართალი ხარ! — ამოიხვნეშა ბონდომ, — სრული უფლება გაქვს გამლანძღო. გამთათხო, საქვეყნოდ შემარცხვინო, აი ისე, როგორც მოქმედებდი სცენაზე... ბავშვები როგორ არიან?

— არა უშავთ!

— ალბათ ჩააგონე, რომ მამა აღარ ჰყავთ, არა?

— რატომ! რა საჭირო იყო ტყუილი. მერე ხომ მაინც შეიტყობდნენ სიმართლეს.

— უარს არ მეტყვი, რომ ვნახო?

— ახლა გვიან არის, სძინავთ უკვე.

— ერთს დავხედავ... თანაც გაგაცილებ, წინააღმდეგი თუ არ იქნები.

— როგორც გინდა.

წინათ, როცა ამ დღეზე ფიქრობდა, ათასგვარ გეგმებს აწყობდა. „მარტო ერთი შეხედვითაც გავანადგურებო“, — იტყოდა ხოლმე. როგორ არ დასაჯა თავის წარმოსახვაში, რა მკაცრი განაჩენი არ გამოუტანა...

ახლა კი...

— მაშ არ დამივიწყეს, მახსენებენ?

— რა თქმა უნდა! შენ ხომ მამა ხარ მათი.

შორს ავტობუსი გამოჩნდა. ისინი იდგნენ და ერთმანეთს შესცქეროდნენ. ხმა ვერცერთს ამოეღო, თუმცა, ამ ხნის განმავლობაში, სათქმელი ალბათ ბევრი დაუგროვდათ.

ცივმა ნიავმა წამოუქროლა და თან მსხვილი წვეთები მოიყოლია. საავდრო ზეცა თბილისურ წვიმას აპირებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნარინჯის ველი

**ვეხმაურებით სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილებას — „საქართველოში სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოების გადიდებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი დაჩქარებული განვითარების ღონისძიებათა შესახებ".**

**გთავაზობთ ჩვენი კორესპონდენტის დ. ასკურავას ინტერვიუს მეციტრუსეობის რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანების უფროსთან — ლუდვიგ ღურწკაიასთან.**

**— ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტით გათვალისწინებულ საკვანძო და პრობლემურ საკითხთა გადაჭრა, ძირითადად, თქვენი გაერთიანების კოლექტივის წილხვედრად მოდის. როგორ გესახებათ ამოცანის გადაწყვეტის პერსპექტივა? ძირითადად რა ბაზაზე მოგიხდებათ დადგენილების ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარება?**

— უპირველესად, მინდა აღვნიშნო თვით დადგენილების უდიდესი მნიშვნელობა სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით. საქმე ის არის, რომ სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების ნაყოფზე საბჭოეთის მოთხოვნილებას ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს ჩვენი დღევანდელი შესაძლებლობა. ამდენად, ამ ძვირფას პროდუქციას საზღვარგარეთ, ვალუტით ვიძენთ. ასე რომ, პრობლემის მთლიანად ან ნაწილობრივ გადაჭრა უდიდესი ეკონომიკური მნიშვნელობის საკითხია.

შეიძლება ითქვას, რომ დადგენილების მიხედვით ჩვენ უკვე გაწეული გვაქვს ერთგვარი წინასწარი სამუშაოები. მაგალითად, გასულ ორ წელიწადში გეგმური 78 ჰექტარის ნაცვლად გავაშენეთ 155 ჰექტარი ციტრუსოვანთა ახალი პლანტაცია. ამ მონაცემს იმასაც თუ დავუმატებთ, რომ შარშან ციტრუსოვანთა ნაყოფის ჩაბარების გეგმა 130 პროცენტით გავანაღდეთ, ხოლო საჰექტარო მოსავლიანობამ 1976 წლიდან 1979 წლისათვის 55 ტონიდან 115 ტონას მიაღწია, ნათელი გახდება მომავალი ამოცანების პირნათლად განაღდებისათვის მზადყოფნა. ძირითადი ბაზაც სწორედ ეს გახლავთ.

**— დადგენილებაში მთავარი აქცენტი გადატანილია ლიმონის პლანტაციებზე, ამ პლანტაციების მაღალნაყოფიერებაზე. როგორია გაერთიანების გეგმები ამ მიმართებით?**

— წლევანდელი წლიდან დაგეგმილი გვაქვს ყოველწლიურად გამოვიყვანოთ 570.000 ძირი ლიმონის ნერგი. იოლი გამოსათვლელია, თუ რას მოგვცემს ეს რაოდენობა XI ხუთწლედში მთლიანად. ამასთან ერთად, მეურნეობათა სანერგეებში ყოველწლიურად გამოიზრდება ეგრეთწოდებული სათადარიგო ორწლიანი ლიმონის ნერგები 200.000 ძირის ოდენობით. ასეთი ხერხით მიღებული ნერგი ორი წლით ადრე აღწევს სრულ მოსავლიანობას. ნერგების ეს მარაგი საშუალებას მოგვცემს დღეისათვის არსებული 400 ჰექტარი ლიმონის პლანტაციები 1985 წლისათვის გავზარდოთ 1.200 ჰექტრამდე, შემდგომში კი ლიმონის პლანტაციების საერთო რიცხვი 1.600 ჰექტრამდე გაიზრდება.

გარდა ამისა, ჩვენს მიერ გამოყვანილი ნერგები მიეყიდებათ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, როგორც ახალი პლანტაციების გასაშენებლად, ისე მეჩხერიანობის სალიკვიდაციოდ. საბოლოოდ, ბუნებრივია, ამ მხრივაც გაიზრდება ლიმონის წარმოება. ამას ისიც დავუმატოთ, რომ წლითიწლობით ვზრდით საჰექტარო მოსავლიანობას და ჰექტრიდან 25-30 ტონა ლიმონის მიღება ამჟამად საოცნებო აღარ არის. ეს კი ხუთწლედის ბოლოსათვის დადგენილებით დასახულ ციფრს უახლოვდება.

**— ძირითადად რომელ რაიონებში მოხდება ლიმონის ახალი პლანტაციების გაშენება და რა მეცნიერულ სიახლეებს გამოიყენებთ?**

— სათანადო ზემდგომი ორგანოების მიერ უკვე გამოყოფილია ადგილები ციტრუსების ახალი მეურნეობებისათვის (მელიმონეობის სპეციალიზაციით) აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, ლანჩხუთის, მახარაძისა და ხობის რაიონებში. მინდა აღვნიშნო, რომ ახალი მეურნეობები ძირითადად გაშენდება კოლხეთის მელიორირებულ მიწებზე, რომელთა ათვისებას ამ უკანასკნელ პერიოდში წარმატებით ახორციელებს ტრესტი „კოლხიდმშენი".

რაც შეეხება ციტრუსოვანთა გაშენებისა და ნაყოფიერების ზრდაში მეცნიერების მიღწევათა გამოყენებას, უპირველესად, ყურადღება უნდა გამახვილდეს ლიმონის ნარგავების ყინვისაგან დაცვაზე. ამ მხრივ ჩვენს მეცნიერებს აქვთ მიღწევები. ეს არის გაზით გათბობა, გადახურვა, შეფუთვა და ა. შ. მაგრამ, ჩემი აზრით, დიდ ეკონომიკურ ეფექტს მოგვცემს მოსკოვის სასოფლო სამეურნეო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ შემუშავებული ჯგუფური გადახურვის ასაწყობი კონსტრუქციების პრაქტიკული გამოყენება. სწორედ ამ დღეებში ფოთის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობაში აღნიშნული ინსტიტუტის მუშაკები აწყობენ პირველ ასეთ გადახურვას. მართალია, აღნიშნული მეთოდი დიდ კაპიტალდაბანდებას მოითხოვს, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ის, რომ ამ ღონისძიების განხორციელებით მკვეთრად ამაღლდება საჰექტარო მოსავლიანობა წელიწადში ორი მოსავლის მიღების გზით, რაც საშუალებას მოგვცემს მშენებლობის ხარჯები გადავფაროთ 2-3 წელიწადში. ხოლო თუკი გავითვალისწინებთ იმას, რომ ინსტიტუტის სათანადო სამეცნიერო დასკვნის მიხედვით ნაგებობა 25-30 წელს ძლებს, ეკონომიკური ეფექტიც ნათელი გახდება. მსგავსი გადახურვები უნდა მოვაწყოთ აფხაზეთის, მახარაძის, ლანჩხუთის და ხობის ახლადშექმნილ მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობებში.

**— როგორც თქვენ ბრძანეთ, მომავალ ხუთწლედში მარტო ლიმონის პლანტაციები 3-4-ჯერ გაიზრდება. ბუნებრივია, ასეთივე მასშტაბით გადიდდება მანდარინისა და ფორთოხლის პლანტაციები. დაძლევთ თუ არა ამ სამუშაოებს არსებული ძალებით და საჭირო გახდება თუ არა დამატებითი მუშახელის გამოყენება?**

— სოფლის მეურნეობის თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი და ინტენსიფიკაცია სწორედ ამ ამოცანის გადაჭრაში გვშველის. ჩვენს პრაქტიკაში უკვე დანერგილია მექანიკური გამაფხვიერებელი, რომელიც პლანტაციებში რიგთაშორის სამუშაოებს ასრულებს. ერთი ამგვარი აგრეგატის გამოყენება საშუალოდ 20 მუშახელს ათავისუფლებს. დიდად მოსაწონია მონორელსიანი ტრანსპორტირება, რაც ჩვენი რესპუბლიკის მთაგორიანი ადგილებისათვის სწორედ რომ ზედგამოჭრილია. ამჟამად გაერთიანებაში 77 მონორელსური აგრეგატი მუშაობს და თითოეული მათგანი საშუალოდ 7-8 კაცს სცვლის. ამ საშუალებებით სათანადოდ აღჭურვა, ვფიქრობ, მუშახელის პრობლემას უმტკივნეულოდ გადაჭრის.

**— რა ტექნიკურ, ტექნოლოგიურ და საორგანიზაციო საკითხთა გადაჭრა მიგაჩნიათ მიზანშეწონილად დადგენილების ღონისძიებათა წარმატებით გადაჭრისათვის?**

— სანამ მაგ კითხვაზე გავცემდე პასუხს, მინდა ვთქვა, რომ აღნიშნულ დადგენილებაში, ციტრუსოვანთა გარდა, დიდი ადგილი უჭირავს სხვა სამხრეთულ და სუბტროპიკულ კულტურებს. კერძოდ, ფეიხოას, ტუნგოს. სხვათაშორის, ამ მიმართულებითაც გაწეული გვაქვს ეგრეთ წოდებული წინასწარი სამუშაოები. ბოლო სამ წელიწადში ფეიხოას პლანტაციები 32-დან 184 ჰექტარამდე გავზარდეთ. წლეულს ეს რიცხვი 94 ჰექტარით გაიზრდება, ხოლო მომავალი ხუთწლედისათვის ამ კეთილშობილი მცენარის პლანტაციები 800 ჰექტარ



მიაღწევს. ამასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ 1976 წლიდან ფეიხოას საჰექტარო მოსავლიანობამ 20 ტონიდან შარშანდელი წლისათვის 45 ტონას მიაღწია, უნდა ვივარაუდოთ, რომ XI ხუთწლედის ბოლოსათვის ძვირფასი სამკურნალო თვისებების მქონე ეს ნაყოფი ფართოდ ხელმისაწვდომი გახდება. ამასთანავე სამჯერ გაიზრდება ტუნგოს, სუბტროპიკული ხურმის და ბამბუკის პლანტაციები.

ახლა კი დავუბრუნდეთ კითხვას. აქ კი მდგომარეობა შედარებით უფრო რთულია ჩვენ ერთი წუთითაც არ ვივიწყებთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს დიდ ზრუნვასა და დახმარებას აღნიშნული დადგენილებით დასახულ ღონისძიებათა ცხოვრებაში გასატარებლად. დიდად გვაიმედებს სოფლის მეურნეობის მშრომელთა აქტივის რესპუბლიკურ შეკრებაზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძის მიერ წარმოთქმული სიტყვა, რომელშიც მომავლის დიდი რწმენა და იმედია ჩასახული. ამდენად, მიზანშეწონილად მიმაჩნია ამთავითვე ითქვას, რომ გასაკეთებელი ბევრი გვაქვს, კერძოდ ციტრუსოვანთა პროდუქციის გადამუშავებაში. მართალია, მომავალში აშენდება 200.000 პირობითი ქილის წარმადობის მქონე საკონსერვო ქარხანა, მაგრამ ეს საკმარისი არ იქნება. კვლავაც რომ შეფერხებები არ გვქონდეს ციტრუსოვანთა გადამუშავებაში, შემდგომ ხუთწლედში 3–4 ამგვარი ქარხანა მაინც უნდა აშენდეს. უნდა გაძლიერდეს შემფუთავი ქარხნების და პავილიონების ტექნიკური ბაზა, მოგვარდეს ტარა-მასალების საკითხი. მიზანშეწონილად მიმაჩნია ამ საკითხის არა ჩვეულებრივი, არამედ წმინდა მეცნიერულ-ტექნიკური გზით გადაჭრა.





არანაკლებ მნიშვნელოვანია პლანტაციების ორგანული და მინერალური სასუქებით უზრუნველყოფა. მინერალური სასუქების მოწოდების მდგომარეობა შედარებით ასატანია და, ვიმედოვნებთ, ახლადშექმნილი რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლქიმია“ საკითხს უკეთ მოაგვარებს. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ორგანული სასუქებით, განსაკუთრებით ტორფით მომარაგებაზე. არსებული ტორფის ქარხანა დღეისათვის ჩვენი გაერთიანებისათვის საჭირო 250.000 ტონის ნაცვლად მხოლოდ 90.000 ტონა ტორფს გვაწვდის. აქ, როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია. გზა ერთია — უნდა გაძლიერდეს ტორფის მოპოვება.

ამ კომპლექსური ღონისძიებების გატარებით პირნათლად განხორციელდება მეტად დიდმნიშვნელოვანი დადგენილება — „საქართველოში სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოების გადიდებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი დაჩქარებული განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

# ქართველ მხატვარ ქალთა ჯგუფური გამოფენა მოსკოვში



რ. ჯავრიშვილი — პეიზაჟი



ნ. ზალიკაშვილი — კოლმეურნეები სოფ. არხილოსკალოდან



ნ. ჩიქოვანი — მ. ლორთქიფანიძის პორტრეტი

დ. ნოდია — შემოდგომა



ე. ანდრონიკაშვილი — კამეჩები ალაზანზე





ნ. ფალავანდიშვილი — რ. სტურუას პორტრეტი



ნ. ლიბრაძე — ქუჩა სიღნაღში.



ტ. კიკაბიძე — გ. ქუთათელაძის პორტრეტი



გ მიქაძე — ქალიშვილის პორტრეტი



რ. გაჩეჩილაძე — მოფარიკავე

# ქართველ მხატვარ ქალთა ჯგუფური გამოფენა მოსკოვში



ც. შანშიაშვილი — ე. ვირსალაძის პორტრეტი



ც. ტერელაძე — „ოცნება"



ლ. ქველიძე — „ფიქრი"



ნ. ჯალაღანია — პორტრეტი



ლ. რუხაძე — პირველი მოსავალი



მ. ნებიერიძე-ხვიტია — ნ. ლაპიაშვილის პორტრეტი



ე მაჩაბელი — პარტიზანის პორტრეტი



ლ შენგელია-აბაშიძე — „სიბრძნე სიცრუისა"



ლ. ზამბახიძე — „კაცია ადამიანი?!"



მ ტორონტაძე — ზ. ბაუბეუქმელიქოვას პორტრეტი

ელ. კანდელაკი — თეთრაძის პორტრეტი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. ხურხუმალი — „მარადისობა"



ლ. ნაკაშიძე — პორტრეტი





ი. ივანიშვილი — ქალი

უ. ფოჩხიძე — სურა



რ. ეკალაძე — ჭიხვი



ა. კაკაბაძე — ლუდის ტოლჩა



ნ. ალექსიძე — ბალერინა



ეროვნული ბიბლიოთეკა



ლ. ჭიჭინაძე — ნატურმორტი



ქ. კარგარეთელი — სურა

ბ. ბერძენიშვილი — ნატურმორტი



დ. დავითაშვილი — ქალიშვილის პორტრეტი



თ. გუგეშაშვილი — ძველი თბილისი





ნ. კიკნაძე —

მ. ჩიხლაძე — ფიალა

ე. ბაბლიძე — დეკორატიული ვაზა



ეროვნული ბიბლიოთეკა





# ოქროს ნახტომი

...პაექრობამ კულმინაციას მიაღწია. ყველაფერი უკანასკნელ ნახტომს უნდა გადაეწყვიტა.

მანამდე წყალში მხტომელთა შეჯიბრების ლიდერები ლამის ყოველი გამოსვლის შემდეგ იცვლებოდნენ. ახლა კი ყველა ფინალისტს ერთადერთი ნახტომიღა დარჩენოდა შესასრულებელი. ლიდერებს ქულის მეასედებიღა აშორებდა ერთმანეთს. ყველა თავის ნახტომზე ფიქრობდა. თავის ნახტომზე ფიქრობდა თბილისელი ლიანა ცოტაძეც.

ყველა ღელავდა: შედარებით ახალბედაც და გამობრძმედილი სპორტსმენებიც, მათი აღმზრდელებიცა და გულშემატკივრებიც. მხოლოდ ლიანა გამოიყურებოდა მშვიდად. ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად ასე ჩანდა. დაწყნარებული ჩანდა მაშინაც, როცა ათმეტრიანი კოშკის ბაქანზე დადგა. საოცარი სიჩუმე ჩამოვარდა. მწვრთნელს იური გუტიაკულოვს საკუთარი გულისცემა ესმოდა.

და აი, ლიანა კოშკს მოსწყდა. ჰაერში მერცხალივით აფრინდა, დაბზრიალდა და წყალში ისარივით ჩაეშვა.

მერე კი იყო გაბრწყინებული თვალები, ტაში, მილოცვები, თაიგულები და სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის ოქროს მედალი.

გაზეთმა „სოვეტსკი სპორტმა" ლიანას გამარჯვებას სენსაციური უწოდა. მართლაც, აბა, ვინ იფიქრებდა, რომ მრავალგზის მსოფლიოს ჩემპიონი პენზელი ირინა კალინინა ოქროს მედალს ვინმეს დაუთმობდა. ისიც ფრიად მოულოდნელი იყო, რომ ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მოსკოველი ელენე ვაიცეხოვსკაია საპატიო კვარცხლბეკს მიღმა დარჩებოდა.

ძნელი, ერთობ ძნელი იყო გამარჯვება.

აღმზრდელი და აღსაზრდელი რუდუნებით ხვეწდნენ თითოეულ ნახტომს. ოთხი წელი სჭედდნენ სპარტაკიადის ოქროს მედალს. თანაც ისეთს, რომელზეც არავის დასცდებოდა, იოლ ბრძოლაში, სუსტ მეტოქეებთან ჭიდილშია მოპოვებულიო.

ლიანას გამარჯვება ორმაგად სასიხარულოა — ჯერ ერთი ჩემპიონობა თავისთავად სასიამოვნოა, მეორეც, ლიანა ქართველ ქალთაგან პირველია, რომელმაც სპარტაკიადის ოქროს მედალი მოიპოვა.

როცა თბილისში დაბრუნდა, გაოცებული დედა ეუბნებოდა, ეს შენ იყავი, ჰაერში რომ ბზრიალებდი და წყალში ისარივით ეშვებოდიო?!.

— დედა მხოლოდ ერთხელ მოვიდა აუზში. — მიამბობს ლიანა. — გული საგულეს აღარ უდგებოდა, როცა 10-მეტრიანი კოშკიდნ ვხტებოდი. მას შემდეგ აუზში აღარ გამოჩენილა. სამაგიეროდ თბილისში გამართულ შეჯიბრებებს, სადაც მე გამოვდივარ, მუდამ ესწრება მამაჩემი და ჩემი და. ისინი ჩემი უპირველესი გუშემატკივრები არიან.

ახლა ლიანას მიერ სპორტულ სარბიელზე მოპოვებულ ჯილდოებში სპარტაკიადის ოქროს მედალთან ერთად ნახავთ სსრ კავშირის თასს, ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატის ვერცხლის მედალს, ბულგარეთის დიდ საერთაშორისო ტურნირში მოპოვებულ პირველ პრიზს, ლას-პალმასიდან (კანარის კუნძულები) ჩამოტანილ „გრანპრის"...

როცა სპორტსმენი დიდ გამარჯვებას მოიპოვებს, ჟურნალისტები თუ სპეციალისტები მუდამ ეკითხებიან, როგორ მიაღწიე წარმატებასო. ასეთი შეკითხვა ალბათ ლიანა ცოტაძისთვისაც მიუციათ. არ ვიცი, თვითონ ლიანა, როგორ ხსნის თავის წარმატებებს, მაგრამ ვფიქრობ, ოლიმპისკენ მიმავალ გზას, უწინარეს ყოვლისა, შესაშური მონდომებით, ნებისყოფით, მომქანცველი ვარჯიშით, შეუპოვრობითა და საკუთარი შესაძლებლობების რწმენით მიუყვება.

დიდი ბრძოლების შემდეგ ათლეტები თავს უფლებას აძლევენ ცოტა დაისვენონ. ოღონდაც, როცა საუბარია ლიანასა და მის დარ სპორტსმენებზე, მათთვის დასვენება არ არსებობს; როცა სპარტაკიადიდან თბილისს დაბრუნდა, უმალ აუზს მიაშურა და ვარჯიში განაახლა — სსრ კავშირისა და აშშ-ს უძლიერეს წყალში მხტომელთა ტრადიციული სამატჩო შეხვედრისთვის ემზადებოდა (ამ შეჯიბრებაში ლიანამ II ადგილი დაიკავა). აი სწორედ მაშინ გამოჩნდა მთელი სიგრძესიგანით ლიანას შემართება, შეუპოვრობა, მონდომება...

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ლიანა ცოტაძე თავისი ფიზკულტურის მასწავლებლის — მიხეილ ზაზაძის რჩევით სპორტული ტანვარჯიშის სექციაში ჩარიცხეს. სამი წლის შემდეგ სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივს მიუახლოვდა. კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. მერე ტანვარჯიშულ დარბაზში წყალში მხტომელთა მწვრთნელი იური გუტიაკულოვი მივიდა. ერთხანს ყურადღებით აკვირდებოდა გოგონების ვარჯიშს, ბოლო მზერა ლიანა ცოტაძეზე შეაჩერა...

გოგონას ტანვარჯიში უყვარდა. წყლის ხსენებაც კი არ უნდოდა. მომავალი მწვრთნელი არწმუნებდა, შენგან ჩემპიონი დადგება, ოღონდ წყალში ხტომაშიო.

გუტიაკულოვი უფრო ჯიუტი აღმოჩნდა.

ახლა ლიანას წყალში ხტომის გარეშე ცხოვრება ველარ წარმოუდგენია. ამბობს, არ ვნანობ, რომ ტანვარჯიშს ვუღალატე, ბოლოსდაბოლოს სპორტში ჩემი ადგილი ვიპოვე, მთავარი კი ისაა, რომ ადამიანმა ცხოვრებაში თავისი ადგილი იპოვოსო.

იზიდავს აკრობატიკაც, რადგან წყალში ხტომა წარმოუდგენელია აკრობატული ვარჯიშების გარეშე. უყვარს დეტექტური რომანების კითხვა, მუსიკა და თვითონაც უკრავს ფორტეპიანოს, მაგრამ არც თავისი პირველი სპორტული გატაცებატანვარჯიში დავიწყებია, ოღონდ, — როგორც გულშემატკივარს.

ახლა ჰორიზონტზე ოლიმპიური მოსკოვი მოჩანს. ოლიმპიურ ჯილდოზე ოცნებობს სპარტაკიადის „ვერცხლის" პრიზიორი, 15 წლის პენზელი ტატიანა ბელიაკოვაც. მაგრამ ნაადრევად არც მესამე პრიზიორი, მსოფლიოს შემპიონი ირინე კალინინა უნდა „ჩამოვწეროთ" და არც ოლიმპიური ჩემპიონი ელენე ვაიცეხოვსკაია, რომელიც სპარტაკიადის ჯილდოს გარეშე დარჩა. ოლიმპიურ ჯილდოზე მეოცნებენი კიდევ მრავლად არიან ჩვენს ქვეყანაშიც და უცხოეთშიც. ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მაგრამ გვჯერა, რომ ჩვენი „ოქროს" გოგონა — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი ოლიმპიურ მოსკოვშიც იტყვის თავის სიტყვას.

ავთანდილ გურასაშვილი

# შემოქმედის გზა



ბედნიერია მსახიობი, რომელსაც მაყურებელი მიიღებს, აღიარებს და შეიყვარებს. ამ ბედნიერ მსახიობთა რიცხვს ეკუთვნის ნაზი კეჭაყმაძეც.

ადვილი როდია ხალხს თავი შეაყვარო. სიყვარული ყოველთვის დაუღალავი შრომისა და ჯაფის, გულისტკივილისა და სიხარულის, წარმატებისა და მარცხის შედეგია.

ნაზი სკოლის დამთავრებისთანავე ეზიარა სამსახიობო ხელოვნებას. 17 წლის გოგონა უცბათ გამოჩნდა მახარაძის დრამატული თეატრის სცენაზე და თან მოიტანა ბავშვური სიმართლე, ახალგაზრდული ხალისი და ენერგია. მომხიბლავი გარეგნობის ქალიშვილს პირველად განო ლიმაურის როლი შესთავაზეს (ია ეკალაძის პიესა „№ 21 ჯგრით"). მაყურებელს მოეწონა ნაზი. აქედან დაიწყო მისი შემოქმედებითი გზა.

ახალგაზრდა მსახიობმა ყველა როლი ერთნაირად შეიყვარა. ყოველ მათგანში უდიდეს სიმართლე ჩააქსოვა, მაგრამ განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად თავისი ძმის ი. კეჭაყმაძის პიესა „გეგმაში", რომელიც პირველ ხუთწლედში ჩვენი ხალხის გმირულ შრომას ასახავდა. ნაზიმ ამ პიესაში სახასიათო როლი შეასრულა.

1934 წელს ნაზი კეჭაყმაძე ჩოხატაურში გადავიდა საცხოვრებლად და სამუშაოდ. მან იქ შემდეგი როლები განასახიერა: ლევიატინის „განაჩენში" — ლეილი, ლავრენევის „რღვევაში" — ტატიანა, გუნიას „დაძმაში" — მარინე, ერისთავის „სამშობლოში" — ფაიხოში, კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინებაში" — კაკალა, ნახუცრიშვილის „ნაცარქექიაში" — მართა, შალიკაშვილის „უნიადაგოში" — რუსია, ცაგარელის „ხანუმაში" — ხანუმა, მოსაშვილის „სადგურის უფროსში" — მარინე, ვოინიჩის „კრაზანაში" — ჯემა და სხვ.

მსახიობის მეუღლე, ჩოხატაურის თეატრის რეჟისორი — მიხეილ ჯალაღანია სამამულო ომის ქარცეცხლმა გამოსტაცა. თეატრს სათავეში თვითონ ნაზი ჩაუდგა. მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ პერიოდში თეატრმა ბევრი კარგი საქმე გააკეთა. დასი შორეულ სოფლებში საშეფო კონცერტებს და საღამოებს მართავდა, ხალხს გამარჯვების რწმენას უნერგავდა, შემოსავალი ფრონტის სასარგებლოდ შეჰქონდათ, ამიტომ მთავრობის ჯილდოები, მედლები „კავკასიის დაცვისათვის" და „1941-1945 წ.წ. მამაცური შრომისათვის დიდ სამამულო ომში" ნაზიმ ღირსეულად დაიმსახურა.

1950 წლიდან ნაზი ბათუმის თეატრის მსახიობია.

ყოველი წელი მსახიობისათვის ახალ-ახალი წინსვლისა და გამარჯვებების მომტანი იყო. ამ წლებმა მოუტანა მას პოპულარობა და აღიარება. ნაზის ადრევე შეერია ჭაღარა. ეს შემთხვევითი როდია — ხანგრძლივი შემოქმედებითი შრომის შედეგია. ბუაჩიძის „მკაცრი ქალიშვილები" (ფორნე), დარასელის „კიკვიძე" (ელიზავეტა დანილოვნა), ბერძენიშვილის „დაჭრილი არწივი" (გულო), ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი" (გულსუნდა), ბუაჩიძის „ეზოში ავი ძაღლია" (ვარვარა კარპოვნა). — აი არასრული სია იმ პიესებისა, რომლებშიც მან საინტერესო როლები განასახიერა.

1957 წელს თბილისში დიდი წარმატებით ჩატარდა აჭარის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა, სადაც მსახიობი ორი სპექტაკლით წარსდგა მაყურებლის წინაშე. ესენია: პ. ლორიას „დინარა" და შტეინის „პერსონალური საქმე". პროფესორი აკ. ფაღავა წერდა „მსახიობს „დინარაში" მიზნად დაუსახავს საბჭოური „ოთარაანთ ქვრივის" შექმნა და ეს მიზანი გამართლებულია. ჩანს, რომ იგი სამართლიანი, ენერგიული, თავისი საქმის მცოდნე და კაცთმოყვარე ადამიანია".

როგორც ყველა შემოქმედს, ნაზისაც აქვს თავისი საყვარელი როლები. მას განსაკუთრებით უყვარს ბებია (ნ. დუმბაძის და გ. ლორთქიფანიძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი"). მსახიობი, როგორც თვითონ აღნიშნავს, პირადად იცნობდა ოლღა ბებიას პროტოტიპს. ალბათ ამიტომაც არის, რომ ნაზის ოლღა ბებია ცხოვრებიდან უშუალოდ გადმოსული გმირია.

აი რას წერდნენ რეცენზენტები: „განსაკუთრებით ძლიერია მსახიობი ფინალურ სცენაში: ყველაფერი — ხმა, ჟესტი, მიმიკა გაგრძნობინებს, რომ ეს მრავალჭირნახული, მარტოხელა მოხუცი ამ დღისთვის ცხოვრობდა, ამ დღეს ელოდა და ბედნიერია, რომ ამას მოესწრო. ახლა უკვე მშვიდად, სინდისის უქეჯნელად შეუძლია დატოვოს სიცოცხლე"... ბებიას როლში კეჭაყმაძე დიდ შინაგანსა და გარეგნულ სიზუსტეს აღწევს გმირის ხასიათს დიდი უშუალობით გადმოგვცემს".

1973 წელს ბულგარეთში ბათუმის თეატრის გასტროლების წარმატება, იქაური მაყურებლის ოვაციები ერთიორად ამდიდრებს მსახიობი ქალის შემოქმედებითს ბიოგრაფიას. ბულგარელი მაყურებლის წინაშე მსახიობი ბებიათი წარსდგა და მოხიბლა კიდეც სოფიისა და სხვა ქალაქების მაყურებლები.

ნაზიმ 370-ჯერ შეუცვლელად ითამაშა ოლღა ბებია. ხუმრობით ამბობს ხოლმე, ამ ხნის მანძილზე სამი ზურიკელა „გავზარდეო", ილარიონი კი შეუცვლელი მყავსო... შემდეგ თვალები ცრემლით ევსება: „ილიკომ უდროვოდ მიმატოვაო", და კედელზე მეუღლის გადიდებულ პორტრეტს უცქერის.

შვილიშვილები მკერდში ეკვრიან. ზურიკელას საყვარელი ბებია ოჯახშიც საყვარელი ბებიაა. წარმატებებს, წოდებებს, საქებ რეცენზიებს არ გაუდიდგულებია ნაზი. ერთია მისი ფიქრი და აზრი: კეთილსინდისიერად იშრომოს. სცენაზეც და ცხოვრებაშიც სიმართლე მისი განუყრელი თანამგზავრია.

პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად დააფასეს ნაზი კეჭაყმაძის დამსახურება ქართული თეატრალური ხელოვნების წინაშე — 1955 წელს აჭარის ასსრ, ხოლო 1962 წელს საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის წოდება მიანიჭეს.

ნაზი ვეტერანი კომკავშირელია, 1939 წლიდან პარტიის წევრია, აქტიური საზოგადო მოღვაწე. წლების მანძილზე მუშაობდა აჭარის ქალთა კომიტეტის წევრად.

უკანასკნელ ხანს მაყურებელი გაახარა ნაზის ოსტატურად შესრულებულმა როლებმა. ესენია: იერახა (ი. დუტის „მეცხრე წმინდანი"); კესარია ეძგვერაძე (თორაძის და მაზნიშვილის „ქორწილი ჩვენს სოფელში").

გვჯერა, რომ კვლავაც ვიხილავთ ნაზი კეჭაყმაძის ახალ შემოქმედებითს გამარჯვებებს.

გ. აბესაძე,
ი. ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო თეატრის მთავარი რეჟისორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მომავალი დედებისათვის



ამ ბედნიერი ამბის მოლოდინში ზოგი ქალი, რატომღაც, თავს ყურადღებას აღარ აქცევს. შესაძლოა, ამის მიზეზი გარეგნობის უეცარი შეცვლა ან ის უამრავი საზრუნავი იყოს, რაც თან სდევს ოჯახის ახალი წევრის მოლოდინს. მაგრამ ეს არ შეიძლება გავამართლოთ იმით, რა დროს საკუთარ თავზე ზრუნვაა, მაგისთვის სადა მცალიაო. პირიქით, იმ განსაკუთრებულ კეთილშობილურ იერს, რასაც ქალს ეს ბუნებრივი ფიზიკური მდგომარეობა ანიჭებს, საჭიროა ტანსაცმლითაც გაესვას ხაზი.

ამ დროს ქალის გარდერობი აუცილებლად იცვლება. სპეციალურად შეკერილი ერთი ან ორი ხელი ტანსაცმელი, რომელსაც თან ახლავს სხვადასხვა გასაწყო ელემენტები და დამატებები, საშუალებას იძლევა დახვეწილი, ელეგანტური გარეგნობა ქალმა მაშინაც კი შეინარჩუნოს, როცა მოდისთვის ფეხის აწყობა შეუძლებელი ხდება.

მუქი ფერები, როგორც წესი, ფიგურას ათხელებს, მაგრამ ფეხმძიმე ქალის გადიდებული ფიგურის შენიღბვას მაინც ვერ შესძლებს. თანაც ბედნიერი დედობის მოლოდინი უმჯობესია, მხიარული ნათელი ფერებითა და სასიამოვნო გარემოთი გაახალისოთ.

ფეხმძიმე ქალის ტანსაცმელი ღიაფერისა უნდა იყოს; მყვირალა ტონები კი სასურველი არ არის. ეცადეთ, შეარჩიოთ წვრილყვავილიანი, უჯრედებიანი, დაწინწკლული, წვრილზოლებიანი, მომცრო გეომეტრიული ფიგურებიანი ქსოვილები. ქსოვილი უნდა იყოს მსუბუქი, მოქნილი და მოხერხებული.

ის ფართო სილუეტი, რომელსაც თანამე-



ეროვნული ბიბლიოთეკა



დროვე მოდა გვთავაზობს, ზედგამოჭრილია მომავალი დედებისათვის. თავისუფალი, დაცემული ნაკეცები ხელს არ უშლის მოძრაობას, თან გადიდებულ სხეულს ფარავს. კოკეტი, ნაოჭი, ირიბი თარგი საშუალებას იძლევა ქვედა ნაწილი განიერი იყოს. კოკეტი შეიძლება დამშვენდეს წვრილი ნაკეცებით. რამდენიმე მოსახსნელი საყელო და მანჟეტი გაწყობილი მაქმანით, ნაქარგით ან არშიით ფეხმძიმე ქალის ტანსაცმელს გაამრავალფეროვნებს. თასმით, ზონრებით გალამაზებული გულისპირი, გვერდითა ნაკერებში ჩატანებული ჯიბეები, სწორი, გრძელი ჟაკეტი — აი, ფეხმძიმე ქალის სამოსელის მოდური ელემენტები.

ფეხმძიმე ქალმა სასურველია სახელურიანი ჩანთა ატაროს — მხარზე გადაკიდებული ჩანთა გადიდებულ სხეულს წონასწორობას უკარგავს.

დიდი წონის გამო ფეხები იტვირთება, ამიტომ ფეხმძიმე ქალს უაღრესად მოხერხებული — რბილი, საშუალოქუსლიანი, მარტივი კონსტრუქციის ფეხსაცმელი უნდა ეცვას.

დაბოლოს, გვინდა მოგაგონოთ, რომ ის ბუნებრივი მომხიბვლელობა, რომელსაც ქალს დედობის მოლოდინი ანიჭებს, არ უნდა დაამახინჯოთ უზომო გრიმით, მყვირალა მორთულობით. ყოველივე ეს ზედმეტ ყურადღებას იქცევს და გადიდებული სხეული უფრო თვალში საცემი ხდება.

მარია ისაევა,
„ბოლგარსკაია ჟენშჩინა".





# როგორ მოქმედებს ცუდი ოჯახური გარემო ბავშვის ფსიქიკაზე

ბავშვის ფსიქიკის განვითარებაზე, მისი პიროვნების ჩამოყალიბებაზე დიდ გავლენას ახდენს ოჯახური გარემო. არაჯანსაღი, უარყოფითი ოჯახური პირობები ხელს უწყობს ფსიქონევროზულ აშლილობათა აღმოცენებას. არაჯანსაღ პირობებში, იგულისხმება ხშირი კონფლიქტები და გაუთავებელი დავა ოჯახის წევრებს შორის, (ე. წ. „არასრული ოჯახი"), მშობლებსა და ბავშვებს შორის ცუდი დამოკიდებულება, მშობელთა არაპედაგოგიური მიდგომა შვილებისადმი.

ოჯახური კონფლიქტები სამ ჯგუფად იყოფა: იოლი, ეპიზოდური და ღრმა. იოლი კონფლიქტების ოჯახი მტკიცე და შეხმატკბილებულია, ოჯახის წევრებს შორის იშვიათი გაუგებრობა მალე იწურება და ვერ არღვევს ოჯახურ სიმყუდროვეს. ეპიზოდური კონფლიქტების ოჯახი გამოირჩევა ხანმოკლე უთანხმოებით, რაც დროდადრო წარმოიშობა სხვადასხვა მიზეზის გამო. უთანხმოების გავლის შემდეგ ასეთ ოჯახებში დიდხანს მყარდება სიმშვიდე და ურთიერთპატივისცემა. ღრმა კონფლიქტების ოჯახში მუდმივი დაძაბულობა და გაუთავებელი დავაა, ოჯახის წევრებს დარღვეული აქვთ სიმშვიდე და მოსვენება. დადგენილია, რომ ის ბავშვები, რომლებიც ღრმა კონფლიქტების ოჯახში იზრდებიან, ფსიქონევრულ გადახრებს უფრო ხშირად ავლენენ.

ოჯახურ კონფლიქტების გამომწვევ მრავალ მიზეზთა შორის უფრო ხშირია ოჯახის ნაჩქარევი შექმნა, ასეთ დროს დაშვებული შეცდომები, ოჯახის წევრებს შორის ცივი, უსულგულო დამოკიდებულება და მათი სულიერი განკერძოებულობა; — „გაბზარული" და „არასრული" ოჯახი; — „არასრული" ოჯახის შემთხვევებში ახალი ოჯახის შექმნის ცდა და ასეთ პირობებში დედინაცვალთან (მამინაცვალთან) ზოგიერთი ბავშვის შეუგუებლობა, — ერთ-ერთი (ან ორივე) მშობლის ხასიათის და ქცევის ანომალია, ალკოჰოლიზმი და მორალურ-ეთიკური ნორმების დარღვევა.

ბავშვთა ფსიქონევრული აშლილობების აღმოცენებას ხელს უწყობს აგრეთვე ის, თუ როგორი ურთიერთობაა მშობლებსა და ბავშვებს შორის. ურთიერთობა შეიძლება იყოს თბილი, შედარებით ცივი, განურჩეველი ან „უარყოფითი" და „ცვალებადი".

ბავშვის მიმართ თბილი, ემოციური დამოკიდებულების დროს მშობლები ბავშვების აღზრდას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ, ტაქტით და ზომიერებით მეურვეობენ მას, კმაყოფილი არიან ბავშვთან ურთიერთობით და ცდილობენ სიყვარული სხვადასხვა ფორმით გამოხატონ.

შედარებით ცივი დამოკიდებულების პირობებში მშობლები ბავშვის მიმართ სიყვარულს, სითბოს, აშკარად არ გამოხატავენ, თუმცა არ აკლებენ ყურადღებასა და ზრუნვას. განურჩევლობის ან „უარყოფის" დამოკიდებულების დროს მშობლებს უზედამხედველოდ და უმეთვალყურეოდ ჰყავთ ბავშვი მიტოვებული, იჩენენ სიმკაცრესა და სისასტიკეს, შეურაცხყოფას აყენებენ ბავშვს და ხშირად ფიზიკურადაც სჯიან.

„ცვალებადი" დამოკიდებულების დროს მშობლები ბავშვის მიმართ ხშირად ცვლიან თავის ემოციურ განწყობილებას, ზოგჯერ ბავშვს დაუმსახურებლად აქებენ, იჩენენ ზედმეტ ყურადღებას და ზრუნვას, ზოგჯერ კი სრულიად საპირისპიროდ იქცევიან, ხაზგასმულ უყურადღებობასა და განსაკუთრებულ სიმკაცრეს იჩენენ.

როგორც დაკვირვება გვიჩვენებს, ფსიქონევროზული აშლილობა უფრო ხშირად იმ ბავშვებს უვითარდებათ, რომლებიც მშობლების მხრივ იგნორირებისა და „ცვალებად" დამოკიდებულების პირობებში იზრდებიან.

ბავშვისადმი მშობელთა არაპედაგოგიური მიდგომა ბევრ რამეს გულისხმობს, მაგრამ ამ სტატიაში ჩვენ ძირითადად გვაინტერესებს მშობელთა მიერ ბავშვის გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების არასწორი შეფასება და აქედან ბავშვის მიმართ მათი არასწორი პოზიცია. ასე, მაგალითად, ერთ შემთხვევაში მშობლები ბავშვისაგან მოითხოვენ განსაკუთრებულ აკადემიურ წარმატებას ისე, რომ არც ბავშვის გონებრივ და ფიზიკურ შესაძლებლობას ითვალისწინებენ და არც ნერვული სისტემის ამტანიანობას. ზედმეტად, არარაციონალურად ტვირთავენ ბავშვს, რომელიც თანდათანობით იფიტება, იძაბება და ერღვევა ნერვული პროცესების წონასწორობა; ასეთი გზით ხშირად აღმოცენდება ნევრასთენიული ნევროზი. მეორე შემთხვევაში კი, პირიქით, ოჯახში კერპად აქცევენ შვილს, რომელსაც დიდი ყურადღებისა და მუდმივი ქების წყალობით ექმნება გადაჭარბებული წარმოდგენა თავის ნიჭიერებისა და განსაკუთრებულობის შესახებ; ამგვარ პირობებში იგი ავლენს საკუთარი შესაძლებლობების გადაფასებას, უვითარდება ეგოიზმი, უნებისყოფობა, არაჯანსაღი აზრები. ასეთი ბავშვები გამოირჩევიან ხშირი ნევროზული (ისტერიული) მდგომარეობით და ფსიქოპათიური გამოვლინებებით.

ოჯახური გარემოს ზემოჩამოთვლილი უარყოფითი პირობების ზეგავლენით ბავშვებს უვითარდებათ სხვადასხვა სახის ფსიქონევრული აშლილობა.

ოჯახის მწვავე კონფლიქტური სიტუაციის ზემოქმედებით აღმოცენდება ნევროზული რეაქციები (დღის და ღამის შიშები, ენაბორძიკობა, შარდის შეუკავებლობა, უნებური მოძრაობები, ტიკები, მყარი უძილობა, უმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დობა და სხვ.). და ნევროზული მდგომარეობანი (ისტერიული, იპოქონდრიული, დეპრესიული და სხვა).

გახანგრძლივებული ოჯახური კონფლიქტები ხშირად იწვევს, როგორც სხვადასხვა ფორმის ნევროზულ მდგომარეობებს, ისე პიროვნულ რეაქციებს, ,,უარყოფის", ,,პროტესტის" და ,,იმიტაციის" რეაქციების სახით. ასეთ შემთხვევებში ბავშვები ხშირად უარს აცხადებენ სწავლაზე, სკოლაში სიარულზე, ყოველგვარ კონტაქტზე; მშობლების მიმართ ავლენენ მკვეთრ ოპოზიციურ დამოკიდებულებას, კერძოდ — უხეშობას, ცინიზმს, ზოგჯერ აგრესიულ ქცევას, ხშირად იპარებიან სახლიდან, უმიზნოდ დაეხეტებიან; ჰბაძავენ ანტისოციალური აზროვნების უფროს მოზარდებს. მავნე ოჯახური პირობები თუ დროულად არ გამოსწორდა მაშინ გახანგრძლივდება ნევროზული მდგომარეობა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პიროვნულ რეაქციებს, რომლებიც არახელსაყრელ პირობებში თანდათანობით ანომალიურ სახეს იძენენ. ასეთი მექანიზმებით ყალიბდება მყარი ფსიქოპათიური მდგომარეობა.

ბავშვებსა და მშობლებს შორის ცუდი ურთიერთობის დროს უპირატესად ვითარდება ბავშვთა ე. წ. ,,სიძნელე" (აღმზრდელთაგან ხელმიშვებული და სოციალურად უმეთვალყურო ბავშვები). ასეთ პირობებში არც ისე იშვიათია ბავშვის პიროვნების ფსიქოპათიზაციის მოვლენები.

მშობელთა არაპედაგოგიური მიდგომის გავლენით ხშირად გვხვდება ერთი მხრივ ნევრასთენიული, ისტერიული და ნაძალადევი ნევროზები, ხოლო მეორე მხრივ — ,,უარყოფის", ,,პროტესტის" (ოპოზიციის) და ,,იმიტაციის" რეაქციები. მოზარდთა ასაკში პიროვნული რეაქციები ხშირად იღებენ ე. წ. კომპენსაციის და ჰიპერკომპენსაციის პათოლოგიური რეაქციების სახეს. ასეთ შემთხვევებში ზოგიერთი მოზარდი თავის აკადემიურ წარუმატებლობას ან ფიზიკურ უკმარობას ,,ავსებს" მისი პიროვნებისათვის სრულიად მოულოდნელი და შეუსაბამო ,,უშიშარი" ქცევით, ,,გაბედული სურპრიზებით" ან ხაზგასმული დეზორგანიზატორული მოქმედებით.

თუ ბავშვი მცირე ასაკიდანვე უარყოფით ოჯახურ გარემოში იზრდება, ზოგჯერ შესამჩნევი ხდება ბავშვის გონების განვითარების ისეთი შეფერხება, რაც ხშირად ძნელად განსასხვავებელია თანდაყოლილი გონებრივ ჩამორჩენილობისაგან.

აკადემიკოსი ა. ზურაბაშვილი, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ოჯახის მორალურ კლიმატს, ხაზს უსვამს, რომ მშვიდი, შეხმატკბილებული და მოწესრიგებული ოჯახი, ოჯახის წევრთა მეგობრული და მზრუნველი ურთიერთდამოკიდებულება საიმედო საშუალებაა ბავშვის ხასიათის ანომალიისა და ფსიქონევროზულ ავადობათა თავიდან ასაცილებლად.

**მირიან მესტიაშვილი,**
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.




1. ყოველდღიური კომპლექტი მოსასხამი კაპიშონით, ქვედა კაბა და მოსასხამი ირიბად არის აჭრილი.

2. თავისუფალი ფორმის საგაზაფხულო ლაბადა პატარა ინგლისური საყელოთი და ჩარჩოსებური ჯიბეებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა




მოდელების ავტორი მხატვარ-მოდელიორი ᲜᲐᲜᲐ ᲪᲥᲕᲘᲢᲐᲘᲐ

3. საგაზაფხულო ლაბადა რეგლანი სახელოებით და მდგარი საყელოთი. სახელოები ანაოჭებულია, მთავრდება მაღალი მანჟეტით.

4. საგაზაფხულო მსუბუქი პალტო — სილუეტი — სწორი. პალტო ერთკალთიანია, შალული შესაკრავით და ჩაჭრილი ჯიბეებით.

5. საგაზაფხულო ლაბადა — მოსასხამი, (მსუბუქი ქსოვილისგან), მდგარი საყელოთი. ლაბადა გაწყობილია შავი ფერის ბეიკებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საზეიმო სუფრა

უტორტოდ ვერცერთი ზეიმი ვერ ჩაივლის. რა თქმა უნდა, ყველაზე იოლია მზა ტორტის ყიდვა, მაგრამ ვის არ უნდა გააკვირვოს შინაურები და სტუმრები საკუთარი ხელით დამზადებული რაიმე უჩვეულო ნამცხვრით. რეცეპტები, რომლებიც ინჟინერ-ტექნოლოგმა ე. დემბკოვამ შემოგვთავაზა, ძალიან იოლია და მთლად გამოუცდელი დიასახლისიც შესძლებს მათი მიხედვით ნუგბარი საზეიმო ტორტის გამოცხობას.



## შოკოლადის ტორტი

დაჭერით კარაქი მომცრო ნაჭრებად. მიუმატეთ შაქარი, ფქვილი, კაკაო, ვანილი და ერთი მწიკვი მარილი. ყოველივე ეს ისე დაკეპეთ, რომ ცხიმიანი და დაფშვნილი მასა მიიღოთ. დაუმატეთ ათქვეფილი კვერცხის გული. მერე ცომი სწრაფად მოზილეთ და 20 წუთით მაცივარში შედგით, შემდეგ გადმოიღეთ ფქვილიან დაფაზე, გააბრტყელეთ 5-7 მმ სისქეზე. გამოჭერით კვადრატი და ჩადეთ ცხიმწასმულ ყალიბში, გვერდები კარგად მიაკარით ყალიბის კედლებს, რომ თანაბრად გამოცხვეს. ცომი რამდენიმე ადგილზე, ჩანგლით დაჩხვლიტეთ, გამოაცხვეთ ცხელ ღუმელში, გააჩერეთ დაახლოებით 20 წუთი, სანამ ქერქს გაიკეთებდეს.

მოამზადეთ კრემი: მოხალეთ ფქვილი უცხიმოდ, ისე რომ ღია მოყვითალო ფერი მიიღოს, გააგრილეთ და აურიეთ ათქვეფილ კვერცხის გულში. ეს ნარევი წვრილ ნაკადად ჩაუშვით დუღილამდე მიყვანილ დამტკბარ რძეში, თან 5-6 წუთს განუწყვეტლად ურიეთ, ვიდრე შესქელდებოდეს. შემდეგ ჩაუმატეთ ვანილი და წვრილად დაფხვნილი ან გახეხილი შოკოლადი, კრემს გამომცხვარი ბისკვიტის შუა გულში ათავსებენ. გარშემო კი შაქართან ათქვეფილ არაჟანს, ან ნაღებს შემოუდებენ.

მასალა ბისკვიტისათვის: 100 გრ შაქარი, 130 გრ კარაქი, 240 გრ ფქვილი, 1 კვერცხის გული, 50 გრ კაკაო ან ყავა (უნალექო), 0,1 გრ ვანილი.

კრემისათვის: ერთი ჭიქა რძე, ოთხი სუფრის კოვზი შაქრის ფხვნილი, ერთი ჩაის კოვზი ფქვილი, 0,1 გრ ვანილი, 100 გრ შოკოლადი.

## „უჯრედებიანი“ ტორტი

ცომი უნდა მოამზადოთ ისე, როგორც წინა რეცეპტში იყო აღწერილი, ოღონდ მასალა იქნება ცოტა განსხვავებული.

ბისკვიტი რომ გამოცხვება, ცილა და შაქარი ათქვიფეთ ძალიან კარგად და ბისკვიტს უჯრედების ფორმით დაასხით. თითოეულ უჯრედში ჩაალაგეთ რაიმე ხილი ან კენკრა (ალუბალი, გარგარი და ა. შ.). ამის შემდეგ ბისკვიტი ისევ ღუმელში შედგით და დაბრაწეთ.



მასალა ბისკვიტისათვის: 60 გრ შაქარი, 130 გრ კარაქი, 250 გრ ფქვილი, 1 კვერცხის ცილა, 0,1 გრ ვანილი.

კრემისათვის: 3 კვერცხის ცილა, 150 გრ შაქრის ფხვნილი.



## ტორტი „დათუნია“

შაქარი ავსრისოთ კარაქთან ერთად, დავუმატოთ არაჟანი, ცოტა სოდა, ფქვილი და ერთმანეთში კარგად ავურიოთ. მიღებული ცომი გავყოთ ორ ნაწილად, რომელთაგან ერთს დავუმატოთ სამი ჩაის კოვზი კაკაოს ფხვნილი (ან უნალექო ყავა). ახლა თეთრი ცომიდან და მუქი ცომიდან გამოვაცხოთ სამ-სამი ფირფიტა (სულ 6). ერთ მუქ ფირფიტას წავუსვათ შაქართან ათქვეფილი არაჟანი და მოვაყაროთ დაჭრილი ნიგოზი, შემდეგ ზემოდან დავადოთ თეთრი ფირფიტა და წავუსვათ კრემი, მერე ისევ მუქი ფირფიტა და ა. შ. ბოლო ფირფიტას მოვასხათ ცხელი სარკალა.

ცომისათვის საჭიროა: 1 ჭიქა შაქრის ფხვნილი, 1 სუფრის კოვზი კარაქი, 1 ჭიქა არაჟანი, 1 ჭიქა ფქვილი.

კრემისათვის: 1 ჭიქა არაჟანი, 2/3 ჭიქა შაქარი, ნიგოზი რამდენიც გინდათ.

სარკალასათვის საჭიროა: ხუთი გრ არაჟანი, ერთი ჭიქა შაქრის ფხვნილი, სამი ჩაის კოვზი კაკაო, სამი სუფრის კოვზი რძე (ყოველივე ეს ერთად უნდა ავურიოთ და დაბალ ცეცხლზე ოდნავ წამოვადუღოთ).

გარეკანის პირველ გვერდზე — რუსთავის ქიმიური ქარხნის მეაპარატე ქეთო ბრძელიძე;
მეოთხეზე—სპორტსმენი ლიანა ცოტაძე; დ. იაკობაშვილის ფერადი სლაიდი.


| | | |
|---|---|---|
| რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი | სარედ. კოლეგია: გ. ბანძელაძე, ნ. გაფრინდაშვილი, ნ. გურგენიძე, ზ. კვაჭაძე, ნ. კილასონია, თ. ლაშქარაშვილი, ქ. ლომთათიძე, პ. ულენტი, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), ლ. შეწირული, თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიძე (პ. მგ. მდივანი). ტექრედაქტორი ნ. ბუკია | საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა |

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №,№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 8/II-80 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/III-80 წ., ქაღალდის ზომა $60 \times 90^{1}/_{3}$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3. ტირაჟი 134.100. შეკვ. 393. უე 00643. ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კომბალი უდევს მხარზედა!





— მანანა... ქოფაკები ახლოს იყოლიე, მგელი არ მოგეპაროს!..

— მანანა... მანდ, სასთუმლის ქვეშ რომ წიგნი გიდევს, მისი წაღება არ დაგავიწყდეს!..

— მანანა... რა გემრიელია შენი მომზადებული კერძი!..

— მანანა... ამაღამ დიდი ყინვა იქნება, ნაღვერდალი არ ჩააქრო, ჩუმად იღუღუნოს ცეცხლმა!..

— მანანა, ღამე ახლოს მოიწიე ქურქი და თუ შეგცივდეს, გადაიხურე!..

მანანა შარვალში, ნაბადში და მწყემსის ქუდშია გამოწყობილი, წვერ-ულვაშ-ამოუსვლელ 14 წლის ბიჭს ჰგავს, ვერ იფიქრებ რომ 19 წელი შეუსრულდა, რომ ქალია და როცა ღამით ცეცხლთან შინნაქსოვ შალის ჯემპრს იხდის და თმებს მხრებზე იყრის, თვალშისაცემია.

ზემო ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის მწყემსებში ეს ერთი გაერიაქალთა საუფლოდან. უჯირაულებს ოჯახში უფროსი ვაჟი არა ჰყავთ და მამა-ბიძას და ბიძაშვილებს მის მაგიერ გაჰყვა, ელდარის ზამთრის საძოვრებზე ზამთარში მანაც ფეხდაფეხ სდია ცხვარს და როცა სადგომებთან მიაღწია, მაშინღა დასცდა: მეცხვარეობის გემოს ისე ვერ გავიგებდი, ბახტრიონის ხიდიდან ფეხით რომ არ გამოვყოლოდი გზას ელდრის საძოვრებისკენო.

ჩავიდნენ თუ არა, ჯერ ბინაზე დარჩა დავარდნილი ცხვრის მოსავლელად. ისინი რომ ფეხზე დააყენა, თავადაც კომბალი გაიდო და 400 სული ცხვარი გადადენა.

ერთი ტომარა წიგნები ამოიტანა ალვანიდან, ზოგს თვითონ კითხულობს, ზოგს სხვებს აკითხებს, კარგ ადგილს შეარჩევს, ყველა ცხვარს რომ ნათლად ხედავდეს. დაეყრდნობა კომბალს და უკვე სხვა სამყაროშია. ერთხელ კითხვაში გართულს ისე წამოადგა მშიერი მგელი, ვერ გაიგო, ახლოსმყოფმა მწყემსებმა უშველეს.

— მანანა... დოლი დაიწყო, — უნდოდათ ეხარებიათ, მაგრამ ველარ მოასწრეს, მანანამ ყველაზე ადრე აიყვანა შავტუხა პატკანი, ჩაიხუტა მკერდში და გაათბო.

— დოლია, დოლი ელდარში.

მანანა ფიქრობს ყოველ 100 ნერბზე 100 ბატკანი შეინარჩუნოს.

ამას ავალებს გარდამავალი წითელი დროშით ჩვენი რესპუბლიკის დაჯილდოება.

მას თავის მოვალეობად მიაჩნია ნაპარსისა და მატყლის წარმოების გადიდება; გეგმაზე მეტი მატყლის ჩაბარება;

ამას ავალებს მისი მშობლიური ახმეტის რაიონის გარდამავალი დროშით დაჯილდოება საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის.

და ეძებს 19 წლის მწყემსი ქალი მეცხვარეობის განვითარების ახალ რეზერვებს, ცხვრის წველისა და ყველის დამზადებისათვის, ცხვრის ფულადობის გაზრდისათვის

ამაზე საპატიო და სასიხარულო დრო არც როდისა აქვს მეცხვარეს,

დოლია.

მორბის მანანა...

მხარზე ორი ბატკანი შეუსხია და მორბის...

უკან ორი დედა ცხვარი მოსდევს ბლავილით.

ამ წუთს მწყემსი სხვაზე მეტად გრძნობს ამ ხმას.

ქალია!

ლ. ნინიძე



ინდექსი 76178